ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

**შავაძე ზაირა**

# აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ პრობლემატიკა, ლიტერატურული ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გურამ ბახტაძე - ასოც.პროფ.

**ხიჭაური**

**2019**

# სარჩევი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)----------3გვ

ანოტაცია(ინგლისურ ენაზე)----------4გვ

**აკაკი წერეთლის ლიტერატურული პორტრეტი**----------5გვ

**თავი 1. „გამზრდელი“ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში**----------15 გვ

**თავი II. ბათუ, როგორც ზნეობრივი იდეალი**----------37გვ

**ძირითადი დასკვნები**----------55გვ

**გამოყენებული ლიტერატურა**----------57გვ

# ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აკაკი წერეთლის, საყოველთაოდ ცნობილი პოემა „გამზრდელი“. შესავალ ნაწილში მოკლედ არის საუბარი საკვლევი თემის აქტუალობის, კვლევის ძირითადი მიზნისა და ამოცანების, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ. აღნიშნულია, თუ რა იქნება ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მოსალოდნელი ძირითადი შედეგები; ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა; ძირითად ნაწილში ერთმანეთს შეჯერებული და შედარებულია სხვადასხვა კრიტიკოსთა შეფასებები ამ პოემის შესახებ, ასევე გამოთქმულია მაგისტრანტის გარკვეული მოკრძალებული დასკვნები პოემის იმ ასპექტების შესახებ, რომელთა შესახებ აქამდე ძალიან ცოტა რამ იყო ნათქვამი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის (პარაგრაფებითა და ქვეთავებით) და დასკვნისაგან. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა აკაკი წერეთლის შესახებ გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა და სტატიებს.

# Annotation

The work is considered by the famous poem "Magnific" Akaki Tsereteli. The introductory part briefly speaks about the actuality of the research topic, the main objectives and tasks of the research, the theoretical and methodological basis of the research. It is noteworthy what will be the scientific novelty of the work and the expected major results; Theoretical and practical significance of the work; In the main part, each other is comprehensively comparable to the criticisms of the various critics about this poem, as well as some modest conclusions of the maestrostant about the aspects of the poem, which have so far been said in Georgian literary criticism, the work consists of the introduction, two chapters and subjects. The work is mainly based on the research and articles published on Akaki Tsereteli.

# აკაკი წერეთლის ლიტერატურული პორტრეტი

ყოველი მწერლის სიდიადე, უპირველესად, იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ახლოსაა ხალხთან, რამდენად ღრმად განიცდის ხალხის სიხარულსა და მწუხარებას. უკვდავი მწერლის სახელს ის იმსახურებს, ვინც თავის პოეტურ ნიჭს ხალხს მოახმარს, ხალხს ესარჩლება, გმობს და კიცხავს უსამართლობას; ებრძვის წარმავალსა და დრომოჭმულს, უმღერის და იმედით შესცქერის მომავალს, ყოველი დიდი მწერალი ხალხის დიდი აღმზრდელიც არის. ეს ყველაფერი ითქმის აკაკის შესახებაც.

აკაკი წერეთელი ტკბილი ქართული მუსაიფისა და გრძნობით სავსე ტკბილი სიტყვის ხელოვანია, დიდი პოეტის მახვილგონიერი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობითი და ზეპირი შემოქმედების სფეროებში ლიტერატურასა და მჭევრმეტყველებაში. მისი მოსწრებული სიტყვები, ელვარე ნაკვესები და ფრთიანი გამონათქვამები ღირსეულად ამშვენებენ ქართულ მხატვრულ მემკვიდრეობას.

ქართული პოეტური ენამზეობის დიდი ოსტატი ათეული წლების მანძილზე ქმნიდა ზეპირი სიტყვის შესანიშნავ ძეგლებს, ეს ქმნილებანი არ ბრწყინავენ პათეტიკური ოქროპირობით, მგზნებარე მხურვალებითა და ესთეტიკური სინატიფით, მაგრამ გვხიბლავენ მაღალი უბრალოებით, მშვიდი დინებითა და წარმტაცი ჰარმონიით .

მრავალი პოეტი მისცა საქართველოს მე-19 საუკუნემ, მაგრამ ისეთი „დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი პოეტი, რომელიც მთლიანად გამოსახავდა თავის თავს, და თავის დროს პოეზიაში, აკაკის

მსგავსი არავინ არის“-უბრძანებია დიდ გალაკტიონს (ტაბიძე 1975: 602) და მართლაც, საინტერესოა რით არის ეს პოეტი „თანამედროვე“, მარად ცოცხალი მოვლენა ჩვენთვის და რას ნიშნავს „თანამედროვეობა“ საერთოდ.

აკაკი წერეთელი მართალია შესტრფოდა ძველს, რაშიც შურყვნელ ქართულ თვისება-ხასიათსის გამოვლენას ხედავდა, მაგრამ ძველის ტრფიალის გრძნობას არასოდეს ჩაუკლავს მასში სიახლის აღიარების შეგნება.

პირიქით, ის მუდამჟამს აწმყოს სულიერ ღირებულებათა შინაარსით ტვირთავდა ყოველივე ძველს, გარდასულსა და ისტორიის კუთვნილს..

აკაკი ყველაზე მეტად გრძნობს თანამედროვე საქართველოს პულსის ცემას, და გრძნობს ისე, რომ მისი დროის ტკივილში არჩევს ყოველი დროის ქართველის მარადიულ სატკივარს. უჭირს ავადმყოფ საქართველოს, ფარისეველნი მოსძალებიან მას. პოეტი ამჩნევს, რომ სათაყვანებელი ქართველის ადგილი დაუჭერია ისეთ არსებას, ვისაც „სისხლით უყარდა ხელი, გულში ედვა მას გველი და შუბლზე ეწერა შავად: „ფარისეველი“. (ევგენიძე 2011 გვ.31-33).

აკაკი წერეთელმა სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, ყველას ხიბლავდა მისი ენის სიმსუბუქე და თხრობის სისადავე, თუმცა სალიტერატურო კრიტიკამ იმთავითვე დაამკვიდრა აკაკი-პოეტისა და აკაკი-პროზაიკოსის გამიჯვნის ტრადიცია: აკაკის ერთსულოვნად აღიარებდნენ ბრწყინვალე პოეტად, პროზის თაობაზე კი ხშირად ურთიერთგამომრიცხავი რეცენზიები ქვეყნდებოდაა.

გრიგოლ აბაშიძე ამბობდა: "აკაკი წერეთელი ერთადერთი შემოქმედი იყო იმ დროში პოეტობა რომ პროფესიად გაიხადა"(აბაშიძე 1990. გვ. 344). პოეტი ქადაგივით დადიოდა ხალში და მარჯვნივ თუ მარცხვნივ თავისი გონებამახვილობის ნაპერწკლებს აბნევდა. ამ გარემოებამ შექმნა მითი აკაკის უდარდელობასა და უზრუნველ პირად ცხოვრებაზე.

აკაკი პოეტია, ქართველი ხალხის პოეტია, სახალხო პოეტი, მას არასოდეს ჰქონია უფრო მაღალი ჩინი და წოდება, ან კი არსებობს ასეთი?რა შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე "სულიკო", ან "საიდუმლო ბარათი", ან თუნდაც - "გამზრდელი"? აკაკი მისთვის ჩვეული ვირტუოზულობით აქსოვს პოეზიაში უზადო ჰარმონიულობას; არა მარტო ააღორძინებს ლექსის ბუნებრივ ჟღერადობასა და მუსიკალურობას,არამედ-განაზავებს სათქმელის სიღრმესთან და დრამატიზმთან, რაც მოუპოვებს კიდევაც  პოეტის უმაღლეს და უზენაეს წოდებას: "აკაკი - რითმის დიდისტატი", "აკაკი - ქართული ლექსის ჯადოქარი", "აკაკი - მოვლენა"... ემოციური, მხურვალე, ფიცხი, ფეთქებადი პოეტი, მართლაც პოეტი, - ნაცნობი უცნობი, მიუსაფარი და მარტოსული, როგორც ყვლა გენიოსი. ის მუდამ იდგა ქართული ინტერესების სადარაჯოზე, იდგა - კალმით, პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკით და სულით, პოეტური იდუმალებითა და ამოუხსნელობით,ქვეყნიდან ზეცისაკენ მიპყრობილი მზერით.აკაკი იყო და არის საქართველოს ყველაზე დიადი "მეჩანგურე", მოაზროვნე, კაცი და პოეტი...

აკაკი წერეთელმა უდუდესი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი საუკუნის პოეზიაზე. თვით ის პოეტებიც კი რომლებიც აკაკისა და ილიას პოეტური ხელოვნების უარყოფას ცდილობდნენ, ხშირად სწორედ კაკი წერეთლის შემოქმედებაში პოვებდნენ აღმოსავალ წერტილს თავიანთი მოდერნისტული ძიებისათვის.

„აკაკი წერეთელი განხორციელებული პოეზიაა, ის ქართული ხელოვნების გენიოსია“(გომართელი 1990. გვ 354). მისი ლირიკა უკვდავია, აქ მუსიკა და პოეზია ერთად არის შედუღებული. აკაკი წერეთლის პოეზიაში თავმოყრილია  მთელი ქართველი ერის სულისკვეთება, ფიქრი, გრძნობა და მისწრაფება.

აკაკი  წერეთელმა პოეზიის ყოველ დარგს დააჩნია თავისი ძლიერი კვალი, მაგრამ შეუდარებელი, სწორუპოვარი და უკვდავი ის ლირიკაშია. აქ იგი თამამად შეგვიძლია ამოვუყენოთ მსოფლიოს ლირიკოსებს. გრძნობა სხვა არის, მისი გამოხატვა, გადმოცემა კი სულ სხვა. აკაკის ნიჭის სიძლიერეც იმაში მდგომარეობს,

რომ თავის გრძნობებსა და მათ მიერ აღძრულ ფაქტებს პოეტი იმდენად , მკაფიოდ, ნათლად და სრულიად გამოხატავს, რომ ჩვენც ვიმსჭვალებით პოეტის ფიქრითა და გრძნობით.

როგორც მიხეილ ზანდუკელი აღნიშნავს, აკაკი წერეთელი ეროვნული პოეტია, მისი პოეზია ქართველი ერის გულის ნადებია და სულის კვეთება. ის მუდამ ქართველ ხალხს, ქართულ ცხოვრებას,ქართველების ბედ-იღბალს დასტრიალებს თავს; ამავე დროს აკაკის ლირიკა მსოფლიო ლირიკაა. აი ამაში მდგომარეობს აკაკის ნიჭის სიდიადე: ეროვნულ ნიადაგზე მან შექმნა მსოფლიო პოეზია.

აკაკი წერეთლის სახელი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა საქართველოში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძვირფას საუნჯეს წარმოადგენს ქართული კულტურის საგანძურში, მაგრამ აკაკის შემოქმედების მნიშვნელობა მარტო მისი ქვეყნით არ შემოიფარგლება. დიდი ქართველი პოეტის სახელი უკვე კარგა ხანია გასცდა სამშობლოს საზღვრებს. მისი საუკეთესო ლექსები და პოემები, მისი მხატვრული ნაწარმოებები ცნობილი და პოპულარულია მოძმე ხალხთა ფართო მასებისათვის.

აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას ვინც კი ოდნავ მაინც გადახედავს, დარწმუნდება, რომ პოეტი მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში რაღაც არაჩვეულებრივი სიყვარულით ემსახურებოდა საზოგადო საქმეს. მან ილია ჭავჭავაძერსთან ერთად მტკიცედ გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი. ის მთელი მოღვაწეობის მანძილზე გატაცებით შთააგონებდა მკითხველს ქვეყნის-სამშობლოს აყვავება-აღორძინებას, მან სწორედ სამშობლოს სამსახურს შეალია თავისი ნიჭი, ძალა და სიყვარული.

„აკაკი წერეთელმა თავისი ნიჭი იმ უდროობის ხანაში არა პირადი ცხოვრების, არამედ გარემოს საყვირად გადააქცია“.(ზანდუკელი: 1976გვ.363).

„აკაკი! ეს ის სახელია, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტკბილად

ჰხიბლავდა და აამაყებდა შემეცნებული ქართველის გულს!“(აკ.სამ. ა. ფურცელაძე 1990,გვ16). ეს დაფასება და ეს ადგილი, რაც ამ პატარა ქართველმა ერმა უჩინა ამ სათაყვანო მოღვაწეს, ძვირად თუ უჩენია უფრო ძლიერსა და განვითარებულს ხალხს თავისი დიდებული მწერლობისა და მოღვაწეობისთვის.

გრიგოლ ვეშაპელის მიხედვით: აკაკი დიადი პიროვნებაა და როგორც ასეთი იგი თავდაპირველად საქართველოს ეროვნული გენიის ხატებაა. საქართველომ მიანიჭა აკაკის თავისი სულის ზენაარი განძი. აკაკიმ არ დამარხა, ვითარცა მონამ ბოროტმა, შთანერგული რამეთუ „ყოველსა რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“, არამედ შესძინა მას და უხვად წარუდგინა თავის სულის უფალს: აკაკის ზემხედველი სმენა და გონება სწვდა სამშობლო ერის გულისნადების იდუმალებას და ცხადჰყო მისი შემკრებლობითი აზრი და გრძნობა ცხოველი სიტყვით და სიტყვა იგი წინასწარმეტველი იქცა მოქმედებად თვით აკაკის თვალწინავე. (ვეშაპელი 1990 გვ.30).

კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, რომ აკაკი წერეთელი სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა საქართველო დავით აღმაშენებლის ხსენებას ზეიმობდა,- „დაადნა ამ სიმებს გული პოეტისა და „სული დაიცალა“, დაიცალა სწორედ იმ დღეს როდესაც დაობლებული საქართველო დღესასწაულობდა თავის სასიქადულო მეფის, დავით აღმაშენებლის წმინდა ხსენებას. საგულისხმოა ეს გარემოება! იქ, საშუალო საუკუნის ცის კამარაზე, დინჯად კაშკაშობს გვირგვინოსანი მეფის სხივი, აქ მე-19 საუკუნეში საქართველოს ამკობდა და ასულდგმულებდა ესეთივე მძლე, მხოლოდ „უგვირგვინო“ მეფე, მფლობელი სულისა და გულის, დიდებული ჩვენი აკაკი. გარეშე მტერთაგან დაუძლურებული და შინაური უთანხმოებით დაქუცმაცებული და დარღვეული საქართველო, შეუწყვეტელ ომიანობით და ფეოდალურ არისტოკრატიისაგან გაღატაკებული და სოციალურად დაჩაგრული ქართველი ხალხი, საშუალო საუკუნეთა შავ-ბნელიტ მოცული ველურ უდროთაგან დაჩრდილული ეროვნული სული,-აი რა ჰხვდა წილად დავით მეფეს, რომელმაც ხანგრძლივი თავისი მეფობა შესწირა საქართველოს შეკრება აღშენებას, მის

პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერების შექმნას, ეკონომიურად აყვავებას და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას, არა უკეთეს პირობებში მოუხდა მოღვაწეობა ჩვენს „უგვირგვინო მეფეს“, ჩვენს აკაკი „აღმაშენებელს“. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან შესწირა ლეჩაქახდილ სამშობლოსათვის პატივის დაბრუნებას, მის განათლებას და ყოველ მხრივ აღორძინებას, ტვირთმძიმეთა და დაჩაგრულთა შემსუბუქებას. (კეკელიძე 1990 გვ.34-35).

სომხური პრესის მიხედვით, აკაკი წერეთელი კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, მისი ბედნიერი და სახელოვანი დღეებით და გულთბილად, ლექსად გამოთქვამდა ქართველი ხალხის თავს გარდახდილს. იგი უმღეროდა გამარჯვების დიდებას და აღაფრთოვანებდა მამაც ქართველობას.

ამავე დროს იგი ამათრახებდა მონობსა და გონებაჩლუნგობას. სოფელში დაბადებული და ხალხის წიაღში გაზრდილი აკაკი წერეთელი ხალხის ჭირ-ვარამს საოცრივ სათუთად ეკიდებოდა და ცდილობდა მის დაყუჩებას.

წერეთელმა უდიდესი როლი შეასრულა, როგორც მშობლიურ ლიტერატურაში, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში. თამამდ შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე თვალისმომჭრელ მნათობად იყო. (სომხური გაზეთი „ორიზონი“ 1990).

რუსული პრესის მიხედვით: აკაკი წერეთლის პოეტური აზრების გარეგნული გამოხატულების სიმსუბუქე მართლაც რომ საოცარია. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საკმაოდ მდიდარია პოეტური ძალებით, მრავალი მიმბაძველის მიუხედავად, მას ბადალი არა ჰყავდა მიახლოებითაც კი.

ძველ ქართულ ლიტერატურაში ამ მხრივ მას მხოლოდ გენიალური შოთა რუსთაველი, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თუ შეედრება . აკაკის პოეზიის ენა ვირტუოზულობამდე მიდის, სადაც თვით ყველაზე რთული პოეტური იდეის გამოთქმის დროსაც კი, იგი ერთნაირად გასაგები და ხელმისაწვდომია, როგორც

მაღალი ინტელიგენტი ქართველისათვის, ასევე ჩვეულებრივი მდაბიოსათვის.(რუსული გაზეთი: „კავკაზსკოე სლოვო“, 1990)

აკაკის ენაზე საუბრობს ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგნაირად: აკაკის ენა! ეს ის ენა არის, რომლის ყველას ეშინოდა და ამავე დროს ყველას უყვარდა! ეს ის ენა არის, რომელიც ყოველთვის გულს მოგხვდება ხოლმე და საუკეთესო გრძნობებს აგვიშლის; ეს ის ენაა, რომელიც ყოველთვის აღგვაფრთოვანებს, ეს ის ენაა, რომელიც ყველას ერთგვარად ესმის, დიდსა და პატარას, გლეხს და მუშას,განათლებულს და გაუნათლებელს, ეს ენა განსპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა, ხალხური პოეზიის შვილია, მისებრ მსუბუქია, ხან ნაზია, ხან ჯადოქარი,მაგრამ ყოველთვის საყვარელია, ყოველთვის მომხიბვლავია(თაყაიშვილი 1990, გვ 50).

გრიგოლ რობაქიძე ასე აღგვიწერს აკაკის: „აკაკი თვითონ ბუნებაა, მაგრამ არა პირქუში და მწყრალი, ძალადი და უტეხი, არამედ მსუბუქი და მქროლავი, მჩქეფი და ცქრიალა“ (რობაქიძე 1990 გვ.55).

ქართულ ლიტერატურაში აკაკი წერეთელი ისე არის მტკიცედ შესული და დამკვიდრებული, რომ უიმისოდ ქართული პოეზიის წარმოდგენა თითქოს შეუძლებელიც არის.

კიტა აბაშიძის მიხედვით: თ. აკაკი წერეთელი პოეტსა და პოეზიას სულ სხვაგვარად უცქერის. პოეტი ის ფუტკარია (ეს ეპითეტი ძლიერ უყვარს თ. აკაკი წერეთელს და ხშირადაც ხმარობს); დიაღ, პოეტი “ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს სამუშაოდ, მიიმღერის, უხარია! ყვავილიდან ყვავილებზე გადაბზუის, გადმობზუის. აქაც წუწნის, იქაც წუწნის სათაფლ-სანთლო მასალასა, არ იზოგავს ღვთის მოცემულს არც ნიჭსა და არც ძალასა”. პოეტი თ. აკაკი წერეთლისა “არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, არც მიწის არის, არც ცისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწის არის, ხან ცისა”. თ. აკაკი პირად განსაკუთრებულ გრძნობათა გამოსახვას გვერდს უხვევს და მარტო საერთო, საზოგადო, ჭირ-ვარამზედ ლაპარაკობს. თვით უდიდესი და უძლიერესი ინდივიდუალური გრძნობა

სიყვარულისა თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში რაღაც საოცნებო არაჩვეულებრივ გაჰაეროვნებული არსებისადმი არის მიმართული და ამგვარად ეს გრძნობა სიმბოლურ სახეს ღებულობს. “მისი სატრფო, უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქმოხდილი” - ეს ხომ მისი სამშობლოა.

ამგვარად, თ. აკაკი წერეთელი გამომხატველია საზოგადო, საერთო ჭირ-ვარამისა და სევდისა. მისი ტანჯვა ხალხის უმეტესობის ტანჯვაა, მისი სევდა და მწუხარება ერის კვნესა და გოდებაა, მისი სასოება და იმედები ერის ლტოლვილებაა და სურვილებია.(აბაშიძე 1990, გვ.112).

აკაკი წერეთელი წარსულის ღურსეული შვილი იყო, რომელმაც იშვიათი ოსტატობით პოეტური გზნებით შესძლო უდიდესი მხატვრული ქვეყნის გადაშლა. “აკაკის მთავარი მნიშვნელობა არის უდიდესი მამულიშვილობა, ცხოვრების არცერთ ხანაში არ ავიწყდება მისი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარე, იგი მისთვის არის დაბადებული და მისთვისვე მოკვდება“. (შ დადიანი, 1990 გვ.356).

„აკაკის ნაწერები პოეზიის რელიგიად ითვლება, ყოველი მისი ლექსი პოეტური შემოქმედების უკანასკნელ სიტყვად არის აღიარებული“. (აკ.კრ. პ.ინგოროყვა, 1990 გვ.356).

არტურ ლაისტის მიხედვით: „აკაკი არამარტო სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი იყო, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა მეგობარიც. იგი მეხად ევლინება ფარისევლებს, მჩაგვრელებსა და კაცობრიობის სხვა მტრებს, გესლიანი დაცინვით ამათერახებდა მათ“. (ა.ლაისტი, 1990 გვ.358).

არავისზე საქართველოში იმდენი არ ულაპარაკიათ, რამდენიც აკაკიზე. საკმაოდ დამახასიათებელია მისი ბუნება,თვით აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცვნეს, „ჭეშმარიტად აკაკი ძველი საქართველოს მოლანდებაა, იგი თითქოს განგებ ამოვიდა საფლავიდან, რომ კიდევ რამდენიმე სურათი დაეხატა, ეს იყო მხატვარი, რომელმაც, თავისი თავი თვითონ გამოიძახა საფლავიდან,მასთან

დამარხულ და მასში გაგრძელებულ სიცოცხლის სიტყვის ძალით“.(ტაბიძე. 1990წ. გვ.363).

დავეთანხმები თამაზ ჭილაძეს და ავღნიშნავ, რომ „აკაკი წერეთლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა თავისუფლების იდეაა, რომელიც თავის მხრივ ორ მძლავრ შენაკადად იყოფა: ეს არის სამშობლოს თავისუფლება და პიროვნული თავისუფლება. თუმცა ეს ორი შენაკადი კი არა, ერთი იდეის ორი მხარეა, რომლებიც ცალკ-ცალკე არაფერს წარმოადგენენ, ერთად კი იმ დიად მოტივს ჰქმნიან, ასე რომ ამაღლებს აკაკი წერეთლის შემოქმედებას“. (ჭილაძე 1990 გვ.369).

აკაკი პუშკინს გვაგონებს... ვლადიმერ სოლოვიოვი ამბობს: შესაძლოა დანტე, გოეთე და სხვა პუშკინზე უფრო დიდი მგოსნები იყვნენ, მაგრამ პუშკინი ყველაზე უფრო პოეტურია. რად? ამას დიმიტრი მერეჟკოვსკი პასუხობს: „მაღალი საფეხური კულტურისა შესაძლოა სახიფათო გახდეს პოეტურ გრძნობათა წყაროსათვის: იგი გვაშორებს იმ ღამურს, შეუცნობელსა და უნებურს, რომელშიაც გაღრმავებულნია და რითაც საზრდოობენ ფესვნი ყოველის შემოქმედისა. მუზებს დილიდ ბინდი უფრო უყვართ უდარაჯებენ ხალხთა პირველ გაღვიძებას შეცნობილი ცხოვრებისათვის. დიდი ხელოვნების ნაქნარისათვის საჭიროა ერთგვარი სიცინცხალე და პირვანდელობა, სიყმაწვილე, თითქმის სიბავშვე ხალხური გენიისა“... მართალი სიტყვაა მხოლოდ რამოდენიმეთ: ჰომიროსის ფენომენი ამ სიტყვას ადასტურებს... სწორედ დილის ბინდში იყო ხვეული რუსთა გენია, როცა იგი პუშკინით იბადებოდა. რუსთა სიტყვა პუშკინით იხსნება, რუსეთის ლიტერატურის ნამდვილი სათავე პუშკინია. „რუსის ქმნამ პეტრე დიდი გამონახა, ქართველისამ დავით აღმაშენებელი, რუსის თქმამ პუშკინი გამონახა, ქართველიოსამ რუსთაველი: პუშკინის სიტყვა პასუხია პეტრე დიდის საქმისა ხოლო რუსთაველის სიტყვა პასუხია დავითისა და თამარ მეფისა“.(რობაქიძე)

აკაკის მგოსნური ბუნება პუშკინისას გვაგონებს: აკაკიც მქნელია ქართული სიტყვის; აკაკიც ცინცხალია და პირველყოფილი. პუშკინი რუსობის პირველი

დაბადების შვილია; აკაკი-ქართველობის ხელმეორე შობიერებისა; პუშკინი მაშინ მოევლინა რუსეთს, როცა რუსეთის სიცოცხლემ დილის რიჟრაჟს მიაღწია; აკაკი საქართველოში იშვა მაშინ,როცა ქართველობა საღამოს ბინდით იყო მოცული; პუშკინი პირველი სიტყვაა ახლად გამოსული ხალხისა; აკაკი მეორე სიტყვაა შემდეგ გაღვიძებული ხალხისა; პუშკინი სიხარულით უხსნის გულს აწმყოს; აკაი სევდით გასცქერის წარსულს;

პუშკინის ჩანგი შვება-ლხენაა; აკაკის ჰანგი ნაღველი და კაეშანი; პუშკინი გრძნობს რუსეთს, როგორც მთელს თავის ინდივიდუალს არსში და ხელოვნებაც მისი გენიალურ იშლება, აკაკი თავის არსში ქართველობის ნატეხს გრძნობს და მისი ხელოვნებაც დატეხილია: ვერ იშლება  გენიალურად სავსებით. (რობაქიძე 1991, გვ.26-28).

## I თავი.„გამზრდელი“ და  ქართულ სალიტერატურო კრიტიკა

აკაკი წერეთელმა მკითხველის ყურადღება სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქცია, იგი მაშინვე მოექცა თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსების თვალთახედვის არეში. განსაკუთრებით საინტერესოა მისი თანამედროვეების ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა შეხედულებები აკაკი წერეთლის პოეტური ხელოვნების შესახებ.

აკაკი წერეთლის  „პედაგოგიურ“ პოემათა შორის ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოებია „გამზრდელი“. ეს არის ერთ-ერთი მწვერვალი მისი შემოქმედებისა და ამავე დროს მისი პოეტური გენიის განსაკუთრებით მკაფიო და ორგანული გამოვლინება.

„გამზრდელი“ პოეტის შედარებით გვიანდელ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის და, ისევე როგორც „განდეგილი“ ილიას შემოქმედებაში, გარკვეულ თვალსაზრისით შემაჯამებელ როლს ასრულებს.

აკაკი წერეთელმა „გამზრდელი“ 1898 წელს დაწერა. პოემა პირველად იმავე, 1898 წელს, დაიბეჭდა აკაკის „კრებულის“ მე-10 ნომერში. პოემა თავისი შინაარსით, იდეურ-ეთიკური პათოსით, და, რაც, მთავარია, მხატვრული სტრუქტურით, ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ქმნილებაა XIX საუკუნის ქართული რეალიზმის ისტორიაში.

ჩვენს წინაა კლასიკური ნიმუში ქართული რეალიზმის პოეტური ხელოვნებისა. თხზულებას ქვესათაურად მიწერილი აქვს სიტყვები: „ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“. ასევე ცნობილია, რომ პოემის სიუჟეტი ნამდვილ ამბავს ეფუძვნება. ამ ჟესტით აკაკიმ თავიდანვე მიანიშნა პედაგოგებს აღმზრდელის როლზე, მის პასუხისმგებლობაზე მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. თუ გავითვალისწინებთ XIX საუკუნის საქართველოს ზოგად მდგომარეობას, რუსიფიკატორული რეჟიმის მარწუხებქვეშ მოქცეულ სოციალურ-პოლიტიკურ თუ ნაციონალურ-კულტურულ ყოფას, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ჩვენი განათლების სისტემა, სხვადასხვა სასწავლებელსა თუ გიმნაზიაში გამეფებულ უსასტიკეს, თითქმის სპარტანულ რეჟიმს, მაშინ ცხადი გახდება პოემის ქვესათაურის მნიშვნელობაც. აკაკის ცნობილი სარკაზმულობა ამ შემთხვევაშიც იჩენს თავს. ის ერთგვარი ირონიით მოიხსენიებს თავისი დროის პედაგოგებს.

პოემა „გამზრდელი“ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში განიხილებოდა და განიხილება როგორც მაღალზნეობრივი იდეის მხატვრულად გამოხატვის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილება. ყველა მკვლევარი თუ კრიტიკოსი ერთხმად აღიარებდა ბათუსა და ჰაჯი-უსუფის ზნეობას და ამართლებდა გამზრდელის საქციელს.

ამ პოემის ირგვლივ არაერთი კრიტიკული სტატია თუ ნაშრომი შექმნილა, მათ შორის საინტერესოა, აკაკი ბაქრაძის, გურამ ასათიანის, თეიმურაზ დოიაშვილის, ალექსანდრე ჩავლეიშვილის და სხვათა შეხედულებები.

აღნიშნული პოემა დღემდე რჩება ქართული სალიტერატურო და არამარტო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ინტერესის სფეროში. სადღეისოდ კი განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა პოემის იდეურმა მხარემ, რამეთუ აღზრდის სფერო, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ურთულესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოს აქტიურად უტევს, გლობალიზაციის ძლიერი ტალღა, „რომლის მთავარ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ: ქვეყნების, ხალხების, რეგიონების, საყოველთაო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, მათი ზემოქმედება და ზეგავლენა ერთმანეთზე, ზოგადი საკაცობრიო ღირებულებათა უნიფიკაცია და ამ საუძველზე მსოფლიოს გადაქცევა ერთ მთლიანობად. (ლუტიძე 2001, გვ 100). ასეთ პირობებში, ცხადია, უფროდაუფრო რთულდება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამ დროს მთავარი სიმძიმე ამ სირთულისა საკუთარ მხრებზე უნდა აიღოს სწავლა-განათლებამ, ეროვნულმა ლიტერატურამ და სხვა ჰუმანიტარულმა მიმართულებებმა, რომლებსაც ხელეწიფებათ ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება. გამომდინარე აქედან განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჩვენი კლასიკოსების მხატვრული მემკვიდრეობის თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევების ფონზე ხელახალი წაკითხვა. ჩვენ მიერ აღნიშნული პოემის ლიტერატურული ანალიზის სურვილი სწორედ, ამ გარემოებებით არის ნაკარნახევი.

საზოგადოდ ცნობილია, რომ კლასიკური ნაწარმოებები არასდროს კარგავენ თავიანთ აქტუალობას და მათ ყველა ეპოქა თავისებურად აღიქვამს და კითხულობს, თუმცა იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკა თავისთავად არის პლასტიკური და იგი ყველა ეპოქის შესაბამისი ლიტერატურული ხელოვნებაა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ „გამზრდელის“ შესახებ, „გამზრდელის“ პრობლემატიკა იმის

საუკეთესო დასტურია, რომ აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა იყო გენიალური, შორსმჭვრეტელი და იყო ქართული რეალობის შესატყვისი, მითუმეტეს ნაწარმოებს აქვს მინაწერი „ნამდვილი ამბავი“.

იმ უამრავ ნარკვევთა შორის, რომლებიც მიეძღვანა „გამზრდელს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია აკაკი ბაქრაძის ვრცელ სტატიას პოემის შესახებ. **აკაკი ბაქრაძე** ფართო დიაპაზონის მოაზროვნე იყო. მან წარუშლელი კვალი დააჩნია ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებასა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებას, მეტიც, იგი უმთავრესი იდეოლოგი იყო XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

თითქმის არ ყოფილა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეპოქა და ამ ეპოქის მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილება, რომელსაც ის არ შეხებოდეს, მანამადე ვიწრო ჭრილში განხილული (ან საერთოდაც შეუსწავლელი) ლიტერატურული ნაწარმოები ფართო ასპექტში არ წარმოედგინოს, მანამადე ზედაპირულად მოწოდებული მასალა განსჯის საგნად არ ექციოს. მან ფართო ასპექტში განიხილა პოემა „გამზრდელი“, დაწვრილებით აღწერა და გაანალიზა თითოეული პერსონაჟის სახე და მათი ქმედების მამოძრავებელი შინაარსი; გაავლო პარალელები რამდენიმე ლიტერატურულ ნაწარმოებთან, რითაც მკაფიოდ წარმოაჩინა „გამზრდელის“ იდეური სიღრმეები: დანაშაულის, შენდობა-მიტევების, მონანიებისა და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანის კონცეფციური არსი. აი, როგორ გადმოგვცემს ყოველივე ამას აკაკი ბაქრაძე:

დანაშაული მოხდა.

პატიოსნებას გულისთქმამ სძლია და საფარ-ბეგმა („გამზრდელი“) ძიძიშვილის ცოლი გააუპატიურა.

სიყვარულის თავდავიწყებამ წაიღო და ონისემ („ხევისბერი გოჩა„) გუშაგის მოვალეობა დაივიწყა. მტერი შემოეპარა.

უცხო ტომის ქალი შეუყვარდა და ანდრი („ტარას ბულბა“) დუშმანის მხარეს გადავიდა. ესეც არ იკმარა: თავისიანებს მედგარი ბრძოლა გაუმართა.

ბავშვურ სულწასულობას ვერ მოერია და ფორტუნატომ („მატეო ფალკონე„) ბანდიტი ჯანეტო სანპიერო გასცა.

არც ხევისბერმა გოჩამ, არც ტარას ბულბამ, არც მატეო ფალკონემ შვილებს დანაშაული არ შეუნდეს და სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ ჰაჯი-უსუბი („გამზრდელი“) მოიქცა სხვანაირად: საფარ-ბეგის დანაშაული თავად ზღო – თავი მოიკლა.

თითოეულმა მათგანმა: საფარ-ბეგმა, ონისემ, ანდრიამ, ფორტუნატომ, მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ მკითხველი მაინც არ არის მათ მიმართ უარყოფითად განწყობილი, ებრალება ისინი და მათდამი თანაგრძნობის ნაპერწკალიც უღვივის გულში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ბუნებით პატიოსანი, კეთილი, გულწრფელი ადამიანები არიან. ისინი მზად არიან სიცოცხლის დათმობით გამოისყიდონ დანაშაული. მხოლოდ პატარა ფორტუნატო შედრკება სიკვდილის წინ. მამას შეევედრება, ნუ მომკლავო, მაგრამ ეს სრულიად გასაგებია – ფორტუნატო ათი წლის ბიჭი იყო (ბაქრაძე2004(I):249-250გვ).

პირველად, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში, **აკაკი ბაქრაძე** არა თუ უარყოფით პერსონაჟად ხატავს საფარ-ბეგს, არამედ, ზნეობრივად, ბათუს ტოლადაც კი წარმოგვიდგენს. მისი აზრით, ერთი შეხედვით, უმაღლესი ზნეობით აღჭურვილმა ბათუმ, მას შემდეგ, რაც შეუნდო ძიძიშვილს უღირსი საქციელი, დაჯაბნა და მორალურად გაანადგურა საფარ-ბეგი, მაგრამ აკაკი წერეთელი გვიამბობს არა სინდისიანისა და უნამუსოს ბრძოლაზე, არამედ ადამიანში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიას. სწორედ იმაში არ უდებს საფარ-ბეგი ძუძუმტეს ტოლს, რომ მთელი სიმძაფრით შეიგრძნობს საკუთარი დანაშაულის უმსგავსობას, მის სიმწვავეს. ამიტომაც თავს ხრის ის ბათუს წინაშე და ისე, რომ ერთი სიტყვითაც კი არ იმართლებს თავს, გულმხურვალედ და

გულწრფელად სთხოვს, მოკლას იგი და ამით ტანჯვა შეუმსუბუქოს, სინდისი გაუმრთელოს: „აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშვინვიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი, მეორეს–არა. საფარ-ბეგმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და თავადვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი: მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი მორჩილად, არამედ გამზრდელისაც. საფარმა ჰაჯი-უსუბს ალალად უამბო ყველაფერი, დაუმალავად და შეულამაზებლად“!(ბაქრაძე,2004(I):251).

საფარბეგის მსგავსად იქცევა ონისე. ის გულწრფელად გამოუტყდა მამასა და სოფელს, საქვეყნოდ აღიარა დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მკაცრი სასჯელი ელოდა, ის ამას არ შეუშინდა, გუგუა იხსნა და თავად სინდისი გაიმრთელა. ონისესა და ჰაჯი-უსუბისაგან განსხვავებით, დანაშაულს არ აღიარებს ანდრი ბულბა. მან უდრტვინველად მიიღო სასჯელი, მაგრამ არ განუცდია სინდისის ქენჯნა.

სამივე პერსონაჟი: საფარ-ბეგი, ონისე და ანდრი ბულბა პატიოსან ადამიანებად მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს, ოღონდ, მისი აზრით, სხვადასხვაგვარია მათი პატიოსნება. საფარ-ბეგისა და ონისეს პატიოსნებას, მართალია, არ შეუძლია დანაშაულის თავიდან აცილება, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალუძს დანაშაულის გაცნობიერება, მონანიება და სასჯელის მიღებაც კი, თუნდაც ეს სასჯელი სიკვდილი იყოს. ანდრი ბულბას კი სიყვარულის ერთგულება უფრო მაღალ მოვალეობად ესახება, ვიდრე – თანამოძმეებისა. ის არც ინანიებს თავის დანაშაულს და არც სასჯელს იღებს ნებაყოფლობით.

იმის გათვალისწინებით, რომ აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გოგოლისა და პროსპერ მერიმეს პერსონაჟები პატიოსანი ადამიანები არიან, დანაშაული თითქოს არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მათი ხასიათის ღრმად შეცნობის შემდეგ, აკაკი ბაქრაძე გვამცნობს ამ პროტაგონისტთა სულიერი სამყაროს ხარვეზებს. ეს არის მორჩილება ვნებისადმი. საფარ-ბეგიც, ონისეც, ანდრიც ვნების

მორჩილნი არიან, ფორტუნატო კი ბავშვური სულწასულობის მსხვერპლი ხდება. (ბაქრაძე2004(I):253-254).

რაც შეეხება კრიტიკოს **თეიმურაზ დოიაშვილს** ის ბათუს ასე გვიხასიათებს: ბათუ უბრალო ხალხისა და ბუნების თავისუფალი შვილია. თავისუფალი, რადგან ნებაყოფილებით, შგნებულად გაუკეთებია არჩევანი "მარტივი ცხოვრების" სასარგებლოდ. მთავარი პრინციპი „მარტივი ცხოვრებისა" მცირედით კმაყოფილებაა. ამას გვიდასტურებს აფხაზის მღვიმის პირას მიწნული ფაცხა და მთიელისათვის აუცილებელი ე.წ საწარმო იარაღები: „კარგი თოფი, კარგი ხმალი, კარგი ცხენი და ნაბადი"... თავისუფალი ადამიანის თავისუფალ არჩევანს პოემაში არაფერი აქვს საერთო ასკეტურ მიდრეკილებასა და გრძნობადი სურვილების უარყოფასთან. ბათუს ცხოვრებას გვირგვინად ადგას გულწრფელი სიყვარული ნაზიბროლასადმი.

ტრფობა, როგორც მზის შუქი, ისე ანათებს და ათბობს ქალ-ვაჟის ოჯახურ ყოფას, რაც მათ უბრალო და მკაცრ არსებობას ბედნიერებად, „სასუფევლის ნეტარებად" აქცევს:

ერათად გრძნობდნენ ამ ქვეყნადვე

სასუფევლის ნეტარებას....

ბათუს ნარატივში მხოლოდ რუსოისტული იდილია კი არ არის ხორცშესხმული, თავად ბათუც განმანათლებლური „ბუნების ადამიანის" კონცეფციით შთაგონებული იდეა-პერსონაჟია. მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, მას კარგად გააზრებული მრწამსი და ცხოვრების პრინციპები აქვს. ბათუს სწამს ღმერთი და აღიარებს ღვთის განგებას, რაც მკაფიოდ ჩანს თავსდატეხილი უბედურების შეფასებაში. სასოწარკვეთილ მეუღლეს ბათუ არამარტო ადამიანურად ანუგეშებს, არამედ გონივრულად, ფილოსოფიურად ასაბუთებს უდანაშაულობას:

ყოველგვარი მოსავალი

კაცის თავზე უნებური

ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს

რას უჩივი, რას ემდური.

ყოველგვარი შემთხვევა („უნებური მოსავალი“), რაც პიროვნების ნების ჩაურევლად ხდება, „ღვთის რისხვაა“, მეტაფიზიკური საიდუმლოა. იგი განგებისგან მოდის, განსჯას არ ექვემდებარება და მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს. ის ყოველთვის უფლის მიერ გულში ჩანერგილი თანალმობის გრძნობით და გონების წინამძღოლობით მოქმედებს: გრძნობის წიაღიდან წამოსულ განცდას გონება განსჯის, ნებელობა კი მის მსჯავრს აღსარებას. აკაკი ფსიქოპლასტიკური ხერხის ოსტატური გამოყენებით სახიერად, ხელშესახებად გვიჩვენებსპერსონაჟის გრძნობათა სამყაროს, მაგრამ ყველგან საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ **კრიზისულ სიტუაციებში** ბათუს არაორდინალური ქცევის განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ გონებაა.(თ. დოიაშვილი  გვ.9)

ზემოთქმულთან ერთად ყურადსაღებია თანამედროვე კრიტიკოსის **მაია მენაბდის** მოსაზრება, რომლის მიხედვითაც: აკაკი წერეთელი ყველა დროის ყველაზე პოპულარული ქართველია და იშვიათად იბადება ისეთი ბედნიერი პოეტი, რომელსაც ხალხის მსგავსი სიყვარული ერგო წილად სიცოცხლეშივე, როგორიც აკაკის. მისი პოპულარული ნაწარმოებებია ,,სულიკო“ და ,,გამზრდელი“, ხოლო საყვარელი და უკვდავი ფრაზაა: „მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“ . ამ ყველასთვის გასაგებ აფორიზმსა და საფარ – ბეგის ფენომენზე ის შემდეგნაირად საუბრობს:

ადამიანის პიროვნებას ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: გენეტიკა და გარემო. გარემო საფარს კარგი ჰქონია: ვარაუდობენ, რომ ბათუს ოჯახში იზრდებოდა იგი 7 წლამდე. ოჯახი, რომელმაც ასეთი დიდსულოვანი კაცი აღზარდა,

არც მობარებულ შვილს დააკლებდა არაფერს; მერე ჰაჯი – უსუბი მიუჩინეს აღმზრდელად, რომელმაც დაამტკიცა თავისი საქციელით მისი ღირსეულობა და აკაკიმაც სწორედ მას მიუძღვნა ეს პოემა. ოჯახიშვილობითაც გამოირჩევა საფარი, რადგან უსუბზე ასე წერს ავტორი: „ სადაც კია გვარიშვილი, ყველა მისი გაზრდილიაო“ ანუ საფარიც კარგი გვარის შვილი ყოფილა, მაღალი წრის წარმომადგენელი. თავად საფარიც ამბობს საკუთარ თავზე: ,, ***დღემდის მტკიცე პირიანსა, დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!“***

ტექსტში ალმასხიტისა და ზია-ხანუმის ამბის მოყოლისას ასე ურთავს:

*,, ვაჟკაცია თვალ–ტანადი,*
*ცხენოსანი უებარი!…*

და, რადგან ზია – ხანუმიც ასე ფიქრობდა, სწორედ ამიტომ დაავალა ინალიფას ლაფშას მოპარვა. საფარ – ბეგს კი სხვა გზა არ ჰქონდა უნდა მოეპარა ცხენი, თუმცა ამგვარი საქციელი არამც არ ეკადრებოდა.

აქ საინტერესოა ბათუს დახასიათება:

*,, … არ ხარ ქვეყნის*
*უცადი და უმეცარი, –*
*სავაჟკაცოდ გამოსული,*
*უდრეკი და უშიშარი!“*

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფარ – ბეგი თავმოყვარე, მამაცი, ქვეყნის ავ-კარგის მცოდნე ადამიანი, რომელსაც ისე კარგად ესმის ,,სამამაცონი ზნენია“, რომ სამაგალითოა და იშვიათად მოეპოვება ბადალი.

პოემაში არც ერთი ფრაზაც არ არის ისეთი, რომელიც უარყოფითად დაახასიათებს საფარს იმ უღირსი საქციელის ჩადენამდე. ან რამე მინიშნება მის ცუდ წარმომავლობასა და გენეტიკაზე.

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, საფარს დაცემის შემდეგაც შეუძლია ღირსეულად მოქცევა. ამაში გვარწმუნებს ის, რომ მან პირნათლად შეასრულა ბათუს დავალება, თუმცა ასეთი უღირსი საქციელის შემდეგ სრულიად საწინააღმდეგოს ელოდება მისგან მკითხველი.

ახლა კი მივადექით მთავარს თუ რა იყო ეს ,,ბუნება", რომ საფარის ყველა ღირსება არარაობად აქცია.

აქ ავღნიშნავთ იმას, რომ საფარი შემთხვევით არ მისულა და არ უთხოვია ბათუსთვის ამ სიკვდილ სიცოცხლის საქმის შესრულება, მან იცოდა, რომ ძიძიშვილი მისთვის თავსაც გაწირავდა, და მართლაც ასე მოიქცა ბათუ, რა გაიგო საფარის გასაჭირი საკუთარ თავზე აიღო იმ სარისკო ქურდობის საქმე და პირობა შეუსრულა ძმობილს, თუმცა საფარმა ძიძიშვილის ცოლს ღირსება შულახა და გათელა „რჯულზე უფრო უმტკიცესი".

ყველაზე ცუდი და ამაზრზენი საფარის მხრიდან მაინც ისაა, რომ მან ბოროტება ჩაიდინა და მშვიდად წაწვა კერასთან და დაელოდა ბათუს თუ როდის მოუყვანდა ცხენს. საფარის სულიერი სიმდაბლე კარგად ჩანს იმ მომენტშ, როცა ბათუ გააღვიძებს და შეშინებული წამოხტება, მაგრამ ბათუს სახეზე ღიმილს რომ დაინახავს გაიფიქრებს არ უთქვამს ქალს შევეცოდეო და გაუხარდება. ფიქრობს რომ შერჩება ეს დანაშაული და, რომ ვერავინ დაზრახავს. ზნედაცემული კაცის ფიქრებია და მაინც რა აკეთებინებს საფარს ამას ვერ ვიტყვით რომ ამ ყველაფერს გააზრებულად და შეგნებულად აკეთებს, როგორც თავადი. მაგრამ, საფარისთვის უკვე თანდაყოლილი სწორედ ის ,, თავადური არაცნობიერი" კარნახობს იმას,რომ მიიღოს ყველაფერი,რასაც მოისურვებს და მიიღოს ისე, თითქოს ეკუთვნოდეს.

სწორედ,რომ ეს თავადური მენტალიტეტია ამ შემთხვევაში ის ,,ბუნება", გენეტიკურად რომ მიიღო საფარმა და წვრთნა რომ ასე გააუფასურა. (წყარო:http://mastsavlebeli.ge/?p=14232). ჩვენ აქ მოვიტანეთ მაია მენაბდის

თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საფარ-ბეგის დანაშაულის მიზეზი მის თავადობაში უნდა ვეძიოთ; აღნიშნული მოსაზრება, ჩვენი აზრით, აბსურდულია, რადაგანაც კლასობრივი პოზიციიდან თხზულების განხილვა არასწორია. მაგრამ აღნიშნული მოსაზრება მაინც შევიტანეთ ჩვენს სამაგისტრო ნაშრომში, რათა გვეჩვენებინა თუ როგორ მახინჯდებოდა კლასიკური პოემის იდეური ჩანაფიქრი საბჭოთა ლიტ.მცოდნეობაში და დღესდღეობით მსგავსი შეხედულების გაზიარება ყოვლად დაუშვებელია. თუმცა ხშირად ვაწყდებით ინტერნეტში ამგვარ არასრულფასოვან ინტერპრეტაციებსაც, არამარტო ამ კონკრეტული პოემის არამედ, ზოგადად, მხატვრული ტექსტის ანალიზის დროს.

მივუბრუნდეთ ისევ აკაკი ბაქრაძეს და განვიხილოთ მისი მოსაზრება, როცა საფარ-ბეგზე გვესაუბრება გვახსენებს „გამზრდელის“ დასაწყისს, რათა უფრო ცხადად წარმოგვიდგინოს საფარ-ბეგის ხასიათის სუსტი მხარე. საფარ-ბეგი მოსვლისთანავე ატყობინებს ბათუს, რომ მას უღირსი საქციელი, ცხენის ქურდობა აქვს გუმანში და რომ ამ ნაბიჯს ზია-ხანუმის სიყვარული აპირობებს. საფარ-ბეგი ნანობს კიდეც, ზია-ხანუმის სილამაზის ტყვე რომ გამხდარა, მაგრამ აკაკი ბაქრაძის აზრით: „ამ შემთხვევაში საფარი მთლიანად მართალს ამბობს. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ მან ზუსტად არ იცის, მართლა უყვარს თუ არა ზია-ხანუმი. საფარ-ბეგი საერთოდ ვერ არის გულგრილი ქალის მშვენიერებისადმი, ამიტომ ვნება და სიყვარული ვერ განუსხვავებია ერთმანეთისგან. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მარტო დარჩენილიყო ნაზიბროლასთან, რომ დავიწყებოდა მორდუობაცა და სიყვარულის ადათიც. ცნობაწართმეულმა და ვნებით დაბრმავებულმა არ დაინდო ძიძიშვილის ცოლი და ნამუსი ახადა მას. საფარ-ბეგის ამგვარ უღირს საქციელს წარმართავს დაუოკებელი ვნება და არა სიყვარული“. ონისესა და ანდრის საქციელს აპირობებს სიყვარული, თუმცა ტრფობისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია.

ონისემ კარგად იცის, რომ მას არა აქვს ძიძიას სიყვარულის უფლება... ონისე ებრძვის გულში დაგუბებულ ტრფობას, ცდილობს გაექცეს, დაემალოს მას, მაგრამ

ამაოდ... ძიძიას სიყვარული ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა და ონისემ დანაშაული ჩაიდინა. ასეთივე ძლიერია ანდრის სიყვარულიც, მასაც თავდავიწყებით უყვარს პოლონელი ვოევოდას ასული... „ჩემი სამშობლო შენ ხარ!“, –უთხრა ანდრიმ ნანდაურს. საერთოდ, რომანიის კონცეფციით, სიყვარული უძლეველ ძალად არის მიჩნეული... ანდრის დანაშაულიც ამით არის გამოწვეული (ბაქრაძე 2004(I):253-254). ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიყვარული რიგ მომენტებში დანაშაულის ყველაზე დიდი მიზეზია, თუმც უნდა შევძლოთ სიყვარულისა და წამიერი გატაცების განსხვავება, რათა სივარულმა არ იტვირთოს ყველა ცოდვა.

აქვე მოგვყავს ნოდარ ჭოლოკავას ნააზრევი რომლის მიხედვით: ბათუს „პორტრეტ–ლაიტმოტივში“ ძირითად ნიშანს წარმოადგენს **„ზეციური ჰარმონიულობა“,** ხოლო ჰაჯი–უსუბისას–„ჭკუა და გონება“ (ჭოლოკავა, 1968, 171), რადგან რაციონალური საწყისი არის მასში დომინანტი. არჩევანი და თავისუფლება კი, კირკეგორის მიხედვით, რაციონალურის უარყოფას გულისხმობს. რადგან გამზრდელი ჭკუითა და გონებითაა ცნობილი, შეიძლება თუ არა, რომ იგი ბრძნად ჩავთვალოთ? სიბრძნე გონების, რაციოს პროდუქტია. იგი ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად გაკეთებული სწორი დასკვნების წყალობით დაგროვილ ცოდნას გულისხმობს.

სიბრძნის საკითხს ეხება **არისტოტელე** და ამბობს, რომ „ ბუნებით ყველა ადამიანი შემეცნებისაკენ ისწრაფვის. ამას მოწმობს სიყვარული შემეცნებისადმი... ადამიანებს გამოცდილება მეხსიერებიდან ექმნებათ, რადგან ერთსა და იმავე მოვლენაზე მრავალ მოგონებას ერთი ცდის ძალა აქვს...

არისტოტელეს აზრით, ცოდნა და გაგების უნარი უფრო მეტად დახელოვნებულს აქვს, ვიდრე გამოცდილს და დახელოვნებულთ, როგორც უფრო ბრძენთ, გამოცდილებზე მაღლა ვაყენებთ, რადგან ცოდნა ყველაზე მეტად სიბრძნეს ახლავს თან. ეს კი იმიტომ, რომ პირველთ მიზეზები იციან, მეორეებმა კი

არა. ესე იგი გამოცდილთ იციან „რა?“, მაგრამ „რატომ?“ არ იციან. დახელოვნებულებმა კი იციან „რატომ?“ და მიზეზი. ამრიგად, სიბრძნეს პრაქტიკა კი არ იძლევა, არამედ განსჯა და მიზეზების ცოდნა...საერთოდ, მცოდნის არმცოდნისაგან განმასხვავებელი ნიშანია სწავლების უნარი. დახელოვნებასაც გამოცდილებასთან შედარებით მეტ ცოდნად ვთვლით. რადგან პირველით შესაძლებელია ცოდნის გადაცემა, მეორეთი კი – არა (არისტოტელე, 1964, 25–27).

ამდენად, არისტოტელეს მიხედვით, რადგან გამზრდელი ცოდნის გადამცემია, მასწავლებელია, ის უპირატესია ვიდრე გამოცდილი, მაგრამ არა ბრძენი, რადგან „სიბრძნეს პრაქტიკა კი არ იძლევა, არამედ განსჯა და მიზეზების ცოდნა..სიბრძნე რაღაც საწყისებისა და მიზეზების ცოდნაა“ (არისტოტელე, იქვე). პოემის მიხედვით კი გამზრდელს სწორედ ეს უკანასკნელი უნარი ვერ აღმოაჩნდა.

სიბრძნის საკითხს ეხება ართურ შოპენჰაუერი: სიჭაბუკეში ჭვრეტა სჭარბობს, სიბერეში–განსჯა; პირველი – პოეზიის პერიოდია, მეორე– ფილოსოფიისა. პრაქტიკულადაც, ჩვენი მოქმედება სიჭაბუკეში განისაზღვრება იმით, რასაც ვხედავთ და რანაირი შთაბეჭდილებაც გვრჩება. ამის შედეგად სიბერეში კი–მარტოოდენ განვსჯით“ (**შოპენჰაუერი,** 1994, 87). **შოპენჰაუერის** მიხედვითაც, გამზრდელი მოვლენის მიზეზის ძიებისა და განსჯის უნარს ვერ ამჟღავნებს. გამზრდელისაგან განსხვავებით, ბათუ ახალგაზრდაა და ბრძენი ვერ იქნება, რადგანაც სიბრძნე გამოცდილების დაგროვებას, განსჯასა და დასკვნას გულისხმობს, რაც დროს მოითხოვს. მაგრამ მისი ზეცასთან სიახლოვე და მიწიერ სამყოფთან დისტანცირება მისი უპირატესობის ნიშნად გვესახება.

ამგვარად, ბათუს მხატვრული სახის გამოძერწვისას იგრძნობა პოეტის განსაკუთრებული ამაღლებული პათოსი, რადგან დაგვანახოს ბათუს მაღალზნეობრივი სახე.

აკაკი ბაქრაძე აღნიშნული პოემის მიხედვით მკითხველს ადამიანთა კიდევ ერთ უარყოფით თვისებაზე – სიხარბეზე – ესაუბრება. მისი აზრით, ბათუს იმიტომ

აქვს შენდობის დიდი უნარი, რომ თავისუფალია სიხარბისაგან. მისთვის სრულ იდილიას წარმოადგენს: „კარგი თოფი, კარგი ხმალი, კარგი ცხენი და ნაბადი“. სპეტაკმა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ შვა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი. ის გასაოცარ სულის სიმტკიცეს იჩენს ჯერ მაშინ, როცა გაუბედურებულ ცოლს ანუგეშებს და მეორედ, როცა ცხელ გულზე ძიძიშვილის სისხლს არ ღვრის: „ბათუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია. ეს სიღრმე მოჩვენებითი კი არ არის, არამედ ნამდვილი, რადგან საფარ-ბეგის დანაშაული ბათუმ ასევე ბოლომდე შეიცნო. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და არც საფარ-ბეგი დასაჯა, რაკი დაინახა, რომ დამნაშავე ალალად ნანობს დანაშაულს და ესმის მისი საქციელის არსი. ყურადსაღებია ის, რომ ბათუ დანაშაულს არ ურიგდება. მას შეუძლია დააფასოს დამნაშავის მონანიება, რაკი იგი თავად მიხვდა, რაც გააკეთა დანაშაულთან შეურიგებლობამ გამოიწვია ის, რომ ბათუმ საფარ-ბეგი გამზრდელთან გაგზავნა. დანაშაული შეგნებულია. მიტევების აქტიც აღსრულებულია, მაგრამ დამნაშავის (საფარ-ბეგის) ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი. იგი ვალდებულია, ეახლოს გამზრდელს და უკლებლივ უამბოს ყველაფერი მომხდარის შესახებ. ასეც მოიქცა საფარ-ბეგი“(ბაქრაძე 2004(I):262).

აქვე საყურადღებოა, აგრეთვე, აკაკი ბაქრაძის შეხედულება ჰაჯი-უსუბის საქციელის შესახებ. როცა ჰაჯი-უსუბმა აღზრდილის აღსარება მოისმინა, მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა: აიღო დამბაჩა და სიკვდილით დასაჯა არა საფარ-ბეგი, რომელიც მორჩილებით უშვერდა გუ-მკერდს, ცოდვამონანიებული, არამედ საკუთარი თავი.

ამ ფაქტის შესახებ აკაკი ბაქრაძე ამბობს, რომ საფარ-ბეგის ნაამბობის შემდეგ, გამზრდელმა ცხადად და მკაფიოდ დაინახა, რომ დაირღვა მოყვასის მოყვასისადმი სიყვარულის ჰარმონია. იგი ისევ რომ აღდგეს, ამისათვის აუცილებელია სასჯელი, რომელიც დაუვიწყარ გაკვეთილად იქცევა არა მარტო საფარ-ბეგისათვის, არამედ – ყოველი ადამიანისათვის.

ამის შემდეგ მკვლევარი წერს ფრაზას, რომელიც ერთდროულად გვხიბლავს, როგორც აზრის გამოხატვის სისადავითა ლაკონიურობით, ისე – სიღრმით (რაც ყველაზე მნიშვნელოვანია): სასჯელი სამაგიეროს მიზღვა კი არ უნდა იყოს, არამედ – ზნეობრიობის დემონსტრაცია (ბაქრაძე 2004(I):262). მართლაც ვეთანხმები აკაკი ბაქრაძეს და ვიტყვი, რომ ჰაჯი-უსუბის ეს ნაბიჯი ყველა აღმზრდელისთვის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს და გასათვალისწინებელია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ აღზრდა უდიდეს პასუხისმგებლობასა და შრომას მოითხოვს აღზრდის პროცესის სწორად წარმართვისათვის.

თავად **აკაკი ბაქრაძე** ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობის აქტს ასე განმარტავს: „აკაკი წერეთელი აქ ქრისტიანული მითის მოდელს იმეორებს. ადამიანთა ცოდვის გამოსყიდვის მიზნით ძე ღმერთმა თავი გაწირა – ჯვარს ეცვა. საკუთარი სისხლითა და ხორცით ზღო დანაშაული. ასევე საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა ჰაჯი-უსუბმაც საფარ-ბეგის დანაშაული. შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ მისი თვითმკვლელობა აორკეცებს საფარ-ბეგის დანაშაულს. ეს თვითმკვლელობა საფარ-ბეგის სამშვინველის განწმენდას იწვევს. კაცი, რომელსაც დანაშაულის გაცნობიერება შეუძლია, ვერ დარჩება გულგრილი ჰაჯი-უსუბის საქციელისადმი. საფარ-ბეგს კი დანაშაულის გაცნობიერება ძალუძს. ამას მოწმობს ისიც, რომ იგი, სასიკვდილოდ გამზადებული, თავდახრილი იდგა ბათუს წინაშე და ისიც, გამზრდელთან რომ გამოცხადდა და თავად უამბო ყველაფერი. ასეთი ადამიანი ჰაჯი-უსუბის სიკვდილის მერე სხვანაირად და სხვა ზნეობით იცხოვრებს. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ – სიკვდილშიაც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე ალბათ – ცხოვრებით. წარსულმა (ჰაჯი-უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა...

„გამზრდელის“ პერსონაჟებისათვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა, აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატიებითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი),

შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება... მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი. ამიტომ ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხევისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი“(ბაქრაძე 2004(I):270-271 ).

როგორც ვხედავთ, აკაკი ბაქრაძემ ამ შემთხვევაშიც სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა  გამზრდელის აზრობრივ შინაარსს, უფრო ღრმა, რელიგიური დატვირთვა მიანიჭა ჰაჯი-უსუბის საქციელს და საფარ-ბეგის სახეც სრულიად სხვა, უფრო ფართო ასპექტში, ქართული და უცხოური ლიტერატურის კონტექსტში განიხილა. ასეთი კომპრატივისტული ანალიზი საუცხოოდ წარმოაჩენს აკაკი წერეთლის პოემის სიღრმისეულ აზრსაც და მის განსაკუთრებულობას, გამორჩეულობასა და თავისებურებასაც.

და თუ რატომ მოიკლა თავი გამზრდელმა? ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარი პასუხი არსებობს: პირველი არის ის, რომ „გამზრდელმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო; განაჩენი არ არის სწორი, მაგრამ იგი ყოველგვარ სისწორეზე ლამაზია“ (მინაშვილი, 2003, 166).

ოდნავ განსხვავებული შეხედულება აქვს აკაკი ბაქრაძეს. იგი ფიქრობს, რომ გამზრდელმა ზნეობრივი მაგალითი მისცა აღზრდილს. იმეორებს გაბატონებულ შეხედულებას და ამატებს: „საფარ–ბეგის დანაშაულის საფუძველი ჰაჯი–უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი–უსუბი გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორეს კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის...მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ–ბეგს, ვიდრე, ალბათ, ცხოვრებით“ (ბაქრაძე, 1992).

**პროფესორი თამარ ახვლედიანი** ფაქტობრივად იმეორებს ბაქრაძის შეხედულებას და ამბობს, რომ ბათუმ საფარ–ბეგი „გაგზავნა ზნეობრივი სასჯელის მისაღებად გამზრდელთან. თან ამით გამზრდელსაც დასდო ბრალი საფარ ბეგის

ცოდვაში. მანაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და თავისი სიკვდილით ფიზიკურად კი არა, ზნეობრივად დასაჯა საფარ–ბეგი“ (ახვლედიანი, 2001, 221).

თამარ ახვლედიანი ამ პოემას კლასობრივი თეორიის პრიზმაში განიხილავს, რაც, ჩვენი აზრით, უფრო აკნინებს ამ მეტად მნიშვნელოვანი პოემის ღირებულებას, ვიდრე რაიმეს მატებს. როგორც ვხედავთ, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია. პირველ შეფასებაში მინიშნებულია განაჩენის არასწორობა, მაგრამ აკლია სრულყოფილი ახსნა. მეორეში კი, ჩვენი აზრით, სასურველი შეფასების მოტივაცია იგრძნობა. მით უმეტეს, რომ თვითმკვლელობა ზნეობრივ მაგალითად ვერ გამოდგება და ის, რომ „სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ–ბეგს, ვიდრე, ალბათ, ცხოვრებით“, ტექსტსტთან და კონტექსტთან დაშორებულ მსჯელობად გვეჩვენება. მით უფრო, საფარ–ბეგს არაფრის სწავლა აღარ სჭირდებოდა. (ახვლედიანი, 2001, 221).

**ალექსანდრე ჩავლეიშვილიც** ეხება აკაკი წერეთლის „გამზრდელს“ და აქვეყნებს კრიტიკულ ნარკვევს სათაურით: „გამზრდელ-გაზრდილის“ უთიერთობის საკითხისათვის აკაკი წერეთლის „გამზრდელში“.(ლიტ.ნარკვევები: 1972) აქ, იგი ეხება აკაკი წერეთლის „გამზრდელში“ საფარ-ბეგის ამორალური საქციელის მიზეზის გარკვევას, ფსიქოლოგიურ ანალიზს. რატომ ჩაიდინა მან ასეთი უზნეო ქმედება? ამ საკითხის გაშუქების დროს შემდეგ მიზეზებს ასახელებს:

1)პირველია თვითონ საფარ-ბეგის ახსნა-განმარტება, როგორც პოემის შინაარსიდან ვიცით, ბათუმ უთხრა საფარ-ბეგს: შენი პირშავობა შევიტყვე და დღეიდან ჩვენს ორს შუა ტყვია არის მოციქული.

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!...
აღარა მაქვს მე სათქმელი!...
*შემაცდინა თვით ეშმაკმა*
და დამრია ცოსვის ხელი“!...“

როგორც ამ სტროფიდან ჩანს, საფარ-ბეგი მიზეზად **ეშმაკს** ასახელებს, ასეთი ახსნა ვერ უძლებს კრიტიკას. აქ ეშმაკი არაფერ შუაშია და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. შეშინებული კაცის ასეთი თვის მართლება მოკლებულია ყოველგვარ რეალურ საფუძველს.

2)მეორე მიზეზად უნდა დასახელდეს თვითონ აკაკი წერეთლის მოსაზრება: ადამიანში არსებობს ისეთი ბუნებრივი უარყოფითი მონაცემიც, რომელსაც **ვერ სცვლის წრთვნა და სწავლა,** ზოგჯერ ეს მონაცემი მონაწილეობს ადამიანის ზნეობრივ საქციელში.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა

ისე, როგორც სხვები ყველა,

მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,

თუ ბუნებამც არ უშველა?

აქ, სიტყვა **„ბუნება“** იმის მაუწყებელია, რომ ყველაფერი საზოგადოებრივ გარემომდე არ დაიყვანება. არამედ **ბუნებრივ-ბიოლოგიური მონაცემიც** ღებულობს მონაწილეობას პიროვნების ფორმირების საქმეში.

აქვე შევნიშნავთ რომ ზოგიერთი მკვლევარის გაგებით „ბუნების“ ქვეშ იგულისხმება საზოგადოებრივი პირობები, სოციალური ვითარება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოვიტანთ ერთ ციტატას, რომელიც საფუძვლიანად უარყოფს დასახელებულ გაგებას: „სიტყვა „ბუნებამც“ ამ კონტექტში ნიშნავს არა გარემოს, „საზოგადოებრივ წრეს“, არამედ ადამიანის, აღსაზრდელის ინდივიდუალურ თვისებას, სუბიექტურ ხასიათს, მის შინაგან ბუნებას. მართალია აკაკი ადამიანის ფორმირებაში აღმზრდელი, გარემოს, საზოგადოებრივ წრეს მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ეს არ კმარაო ამბობს პოეტი, თუ აღსაზრდელს არა აქვს **„ბუნებით“** მოცემული მიდრეკილება. ამგვარ ახსნას ჩვენ ვერაფერს

დავუმატებთ და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „ბუნების“ ცნება აკაკის არ დაჰყავს მხოლოდ საზოგადოებრივ წრემდე, სოციალურ გარემომდე. ასეთია აკაკის მიერ საფარ-ბეგის ამორალური საქციელის მიზეზის ახსნა.

3)ამ ბოლო დროს გამოთქმულ იქნა მესამე მოსაზრება, რომელიც, ჩავლეიშვილის აზრით, ყოვლად მიუღებელია და სწორედ მის უარყოფას ისახავს მიზნად ეს პატარა შენიშვნა:

ეს გაგება საფარ-ბეგის უზნეო საქციელის მიზეზს ხედავს , თვით გამზრდელში - ჰაჯი-უსუბში. საკვირველია, მაგრამ ფაქტია. ერთ საგაზეთო წერილში წერია: (ს.სხირტლაძე, გაზ.სახალხო განათლება: 1952) „საფარ-ბეგი ნამდვილად ვერაგი და მუხანათი პიროვნებაა“, მაგრამ, თურმე საფარ-ბეგის ასეთ ვერაგულ მოქმედებაში ბრალი ჰაჯი-უსუბს მიუძღვის: „რა გონებრივი ავლადიდება უნდა შეეძინა მას ისეთი აღმზრდელისაგან, რომელსაც პოეტის დახასიათებით **მხოლოდ მაჰმადის მცნება ეწერა** ხელის გულზე და რომელიც მხოლოდ ყურანის დოგმებს ჩასჩიჩინებდა თავის მოწაფეს“. ალბათ, აქ ავტორს მხედველობაში აქვს პოემის ის ადგილი, სადაც ჰაჯი-უსუბის შესახებ ნათქვამია:

ჭირში, ლხინში საზოგადოდ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰამდის წმინდა მცნება.

ზემოთ დასახელებულ ციტატას მოსდევს ჰაჯი-უსუბის გამაქიაქებელი მსჯელობა: „ბუნებრივია, რომ ასეთი ცალმხრივი განათლების მქონე, ყოველგვარი სასკოლო აღზრდის გარეშე დარჩენილი საფარი ცხოვრების მკაცრ გამოცდას სრულიად მოუმზადებელი შეხვდებოდა, რამაც კრიტიკულ მომენტში კიდევაც იჩინა თავი“. ალბათ „ცხოვრების მკაცრ გამოცდაში“ ავტორი გულისხმობს საფარ-ბეგის მარტოდ დარჩენას ნაზიბროლასთან და ამ შმთხვევაში საფარის თავის შეკავება დიდ „კრიტიკულ მომენტად მაიჩნია“, და თუ საფარ-ბეგმა თავი ვერ შეიკავა, ეს

თურმე იმიტომ, რომ „მისი მორალური აღზრდის წყარო  მეტად ცუდი სათავიდან მომდინარეობს: მის ფსიქო-ფიზიკურ სამყაროს ასაზრდოებდა და ავსებდა მეტად **ჩამორჩენილი, ნახევრად ველური, მაჰმადიანური, დახავსებული ტრადიციები და ზნე ჩვეულებანი“.** ჩვენი აზრით სხირტლაძისეული შეფასება ერთობ გადაჭარბებულია, შეიძლება ითქვას, რომ მკვლევარი კომუნისტური კლასობრივი აზროვნებისა და ათეისტური მიდგომების ძლიერი გავლენის ქვეშაა მოქცეული. იგი სრულებით ასცდა პოემის ძირითადი იდეის მართებულ გაგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ასე ხელაღებით მთელი სოციალური ფენის გაქილიკება ვფიქრობთ არასწორია. შმდეგი სიტყვებიც, ალბათ, ავტორს ისევ და ისევ ათეისტური სიბრმავით წამოსცდა და არა გვგონია, რომ მართლმადიდებლობის უანგარო სიყვარულამა ათქმევინა: „ჰაჯი-უსუბი მაჰმადიანური რელიგიის ფანატიზმით იყო შეპყრობილი და ნამდვილი აღმზრდელისათვის საჭირო ცოდნა და პედაგოგიური დახელოვნება მას არ ჰქონია, უდავოა, რომ ეს აბსტრაქტული; მეცნიერული თვალსაზრისით უმწეო ცოდნის პატრონი საგონებრივი თუ ზნეობრივი სრულყოფის მხრივ ბევრ რამეს დააკლებდა თავის აღზრდილებს. საფარ-ბეგის მარცხის წყაროც მისი აღზრდის ცალმხრივობა და შეზღუდულობაა“. (ს.სხირტლაძე 1952. გვ.246). აქვე დავსძენთ, რომ ჰაჯი-უსუბს მაჰმადის მცნების გარდა სხვა არაფერი რომც არ ესწავლებინა საფარისთვის საფარს ეს შეცდომა მაინც არ უნდა დაეშვა, რადგან,  სწორედ რომ ყველა რელიგია და ყურანიც ქადაგებს წესიერებას და არა უზნეობას, არ იმრუშო, ეს 10 მცნებაშიც არის და საფარის ამ, ე.წ  „ცხოვრების მკაცრ გამოცდას“ ვერ დავაბრალებთ გამზრდელის რელიგიურ მრწამსს. სხირტლაძისეული მიდგომა არც ალექსანდრე ჩავლეიშვილს მიაჩნია მართებულად.

ჩავლეიშვილის აზრით: ზოგიერთი პიროვნება სარწმუნოებით მაჰმადიანია, მაგრამ მის დოგმებს ცხოვრებაში არც კი ასრულებს. ასეთები ყურანის მოძღვრების განხორციელებას კი არ ემსახურებიან, ესენი მაჰმადიანები არიან მხოლოდ რელიგიური კუთვნილების მიხედვით და არა თავიანთი რწმენით. უნდა აღინიშნოს,

რომ ალექსანდრე ჩავლეიშვილის მსჯელობაც კომუნისტური ეპოქის აზროვნების გამოხატულებაა, ამიტო ისიც ვერ იქნება დაზღვეული შეცდომებისსაგან.

ზოგიერთი პიროვნება თავისი სარწმუნოებით მაჰმადიანია, - აგრძელებს ჩავლეიშვილი - ისლამის სჯულს აღიარებს და მის მოძღვრებას ასრულებს, ასეთი პიროვნებაც შეიძლება იყოს მოწინავე და არ შეიძლება ითქვას, რომ რაკი იგი თავისი რელიგიური რწმენით მაჰმადიანია, ამიტომ არ შეიძლება პროგრესული მოღვაწე იყოს.

პიროვნება შეიძლება თავისი რწმენით ქრისტიანი იყოს, მაგრამ ამავე დროს თვალსაჩინო პროგრესულ მოღვაწეობას ეწეოდეს. პროგრესული მოღვაწეობის წინაპირობას არ წარმოადგენს ურწმუნოება. იყვნენ მოღვაწეები რომლებსაც ღმერთი სწამდათ, ბიბლიის დოგმებს ქადაგებდნენ, მაგრამ შესანიშნავ მოღვაწეთა პლეადას მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, ლევ ტოლსტოი, იაკობ ცურტაველი, გრიგოლ **ხანძთელი და სხვები.**

საბოლოდ ა. ჩავლეიშვილი დაასკვნის: ჩვენ რასაკვირველია, ყურანის დამცველის როლში არ გამოვდივართ, გვჯერა, რომ ყურანი ქადაგებს მორჩილებას, ..... მაგრამ მასში არ სწერია, რომ პიროვნებამ თავისი მეგობრის ცოლი შეურაცხყოს. ძალა იხმაროს და თავისი პირუტყვული ვნებები დაიკმაყოფილოს. (ა.ჩავლეიშვილი:1972:231).

ჰაჯი-უსუბის შესახებ პოემაში ნათქვამია:

არც გვარუთ, არც ვაჟკაცობით,

არც სიმდიდრით, არც ქონებით,

ჰაჯი-უსუბ ცნობილია

მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის,

არც ტყუილი ქადილია;

სადაც კია გვარიშვილი'

ყველა მისი გაზრდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა

ისე, როგორც სხვები ყველა,

მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,

თუ ბუნებამც არ უშველა.

ჩავლეიშვილი აგრძელებს მსჯელობას: „აქ **„ბუნებამც"** იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი არ არის დამოკიდებული ბუნებრივ მიდრეკილებაზე. აკაკი ყველაფერს ბუნებრივი მონაცემებით არ ხსნის, მაშინ გამზრდელის როლი სულ მოიხსნებოდა და წრთვნაც ზედმეტი იქნებოდა. აკაკის გაგებით, რასაკვირველია, მთავარია საზოგადოებრივი წრე, სოციალური გარემო, აღზრდა, როგორც პედაგოგიური ღონისძიება, თავის თავად უდიდესი სოციალური მოვლენაა, მაგრამ ბუნებრივი თანდაყოლილი თვისებები მნიშვნელივანია და ყველაფერი აღზრდაზე არ ყოფილა დამოკიდებული. რაღაც მცირე პროცენტი მაინც რჩება აღზრდაში ისეთი, რაც არ არის დამოკიდებული **აღმზრდელზე და აი ამ მცირე პროცენტმა თავი იჩინა საფარის საქციელში და** შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა არის იმის მაუწყებელი, **რომ ბუნებამაც ქედი უნდა მოიხაროს აღზრდის წინაშე და ეს უნდა შეძლოს აღმზრდელმა.** აქ არაფერ შუაშია, ის რომ ჰაჯი-უსუბს ხელის გულზე ეწერა „თვით მაჰმადის წმინდა მცნება". თავის მოკვლას ცოდვად მიიჩნევს ყველა სარწმუნოება, თუმცა ჰაჯი-უსუბმა ეს ნაბიჯი გადადგა. ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა არა სარწმუნოებრივ ნიადაგზე, არამედ იმიტომ, რომ მან, როგორც აღმზრდელმა ვერ

შეძლო ყველაფერი აღზრდის სფეროში მოექცია. ჭკვიანი და გონებით ცნობილი აღმზრდელი თავის საზოგადოებრივ შრომას შესცქერის, როგორც საკუთარ სიცოცხლეს. მან ნახა თავისი შრომის უქმი ნაყოფი და სიცოცხლე გაიუქმა“. (ა. ჩავლეიშვილი 1972, გვ.228-233).

**თეიმურაზ დოიაშვილიც** დასძენს,რომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა, როგორც ითქვა, პასუხია ბათუს თხოვნაზე, შეაფასოს გაზრდილის საქციელი, მისი დანაშაულის კერძო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ზნეობრივ კანონსა და სამართალს შორის წინააღმდეგობაა და იგი გადაწყვეტას მოითხოვს. ემპირიულ-სიუჟეტურ პლანში ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობის მიზეზი პოემაში შეუფარავად პირდაპირაა დასახელებული:

**სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,**

**რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!**

ჰაჯი-უსუბის პედაგოგიკის, „წვრთნის“ მიზანი ბიოლოგიური არსების ზნეობრივ არსებად გარდაქმნა, „კაცად გაზრდა“ იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისმა გაზრდილმა უკაცურობა ჩაიდინა. აღზრდის კრიტერიუმად რუსოს ის მიაჩნდა, რამდენად გაუძლებდა „ადამიანობის“ პრინციპით აღზრდილი პიროვნება მანკიერი გარემოს ზემოქმედებას. საფარ-ბეგის დანაშაული, ამ კრიტერიუმის მიხედით, გამზრდელის პროფესიული მარცხია, რამაც უბრალო, ღირსეული ადამიანების ბედნიერება შეიწირა. დანაშაულის სათავე აღზრდაშია და ვინაიდან „მზრდელი ყმის მეორე შემოქმედია“(ილია), ამიტომ ზნემაღალი ჰაჯი-უსუბი მოვალედ თვლის თავს, სიცოცხლით აგოს პასუხი ბათუს წინაშე. მეტად ულმობელია ეს განაჩენი საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ ეს არის აღმზრდელის სიბრძნე, მისი პასუხისმგებლობის დიდი მწვერვალი“, პასუხისმგებლობის ამ დიდ მწვერვალზე აჰყავს აკაკის პედაგოგები და ამაში მდგომარეობს ამ უკვდავი პოემის მთავარი მნიშვნელობა.(თ.დოიაშვილი გვ.18-19)

სამაგისტრო ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ აქ წარმოვადგინეთ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში „გამზრდელის“ შესახებ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისთა მხოლოდ ნაწილი, რაც ნათელჰყოფს იმას, რომ პოემა განსხვავებულად იკითხებოდა სხვადასხვა ეპოქაში და შეიძლება წაკითხულ იქნეს ახლებურადაც. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს თხზულების უნიკალურობას.

## თავი II. ბათუ, როგორც ზნეობრივი იდეალი

ცნობილი ქართველი კრიტიკოსი **გურამ ასათიანი** მიუთითებს: „პირველ რიგში აღსანიშნავია ერთი საკვირველი დამთხვევა: „გამზრდელი“, ისევე, როგორც „განდეგილი“, იწყება მოქმედების ადგილის აღწერით. ორივე შემთხვევაში ეს „ადგილი“ საგანგებოდ მოწყვეტილია მიწას - „ბარს და ვაკეს“, „კაცთ ჟრიამულს“ - და უშუალოდ „ცის მახლობლად“ მდებარეობს.

ამგვარი ამაღლება (მოქმედების ადგილისა) თითქოს იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ჩვენ აქ „ქვეყნის ყაყანს“ - ჩვეულებრივი ყოფის წვრილმანებს, ადამიანთა ყოველდღიურ საზრუნავს და ვნებათაღელვას გავცილდით და მთავარი,

არსებითი, უნივერსალური ვნებების საუფლოში შევაბიჯეთ (სხვა საკითხია, რომ საბოლოოდ ორივე ამ ნაწარმოებში ქვეყნიურ ვნებათა სუნთქვა ამ სიმაღლეზეც ამოიჭრება და მის მკვიდრთ სულიერ სიმშვიდეს არღვევს).

ექსპოზიციის ლოკალური მნიშვნელობის ამგვარი არჩევანი საერთო ნიშანიია ილიას და აკაკის პოეტიკისა. მაგრამ აქვე მჟღავნდება ურთიერთგანმასხვავებელი თვისებებიც.

თუ ილიასთან განდეგილის სამყოფელი წარმოსახულია „დიდებულების“ დომინანტური განცდით, რაც პირველივე სტროფში „ორბთა და არწივთა“ მეფური სახეების შემოტანითაა აქცენტირებული, აკაკისთან დომინანტურ როლს უბრალოებისა და სილაღის განცდა ასრულებს. პეიზაჟის ცოცხალ მეტაფორულ კომპონენტად აქ „ორბთა“ და „არწივთა“ ნაცვლად მერცხალი გვევლინება - მთაში დასახლებულ აფხაზის ფაცხა შორიდან მერცხლის ბუდეს ჰგავს.

მოქმედების ადგილის ამგვარი განსხვავებული შეფერილობა, შესაბამისად განსხვავებულ ემოციურ წინაგანწყობას ქმნის იმის აღსაქმელად, რაც აღწერილ გარემოში უნდა მოხდეს.

უბრალოება, როგორც მოქმედებისადმი ადგილის დამახასიათებელი ნიშანი, იმთავითვე ხაზგასმულია აკაკის მიერ არა მხოლოდ პოზიტიური ასპექტით, არამედ უარმყოფელ, გარკვეულ სოციალურ თუ ზნეობრივ ღირებულებათა მიმართ ანტიპოდურად დაპირისპირბული მნიშვნელობითაც.

დაპირისპირება აქ ორმაგია - კონკრეტული (სოციალური) და ზოგადი (ეთიკურ-ჰუმანური). პირველ შემთხვევაში „უბრალოება“ დემოკრატიზმის ატრიბუტადაა გააზრებული და მისი ესთეტიკური უპირატესობის დამტკიცებას ემსახურება:

„მაშინ ფაცხა უბრალობით

მომხიბლავად ლამაზია

და იმასთან ყველა ტყუის

რაც კი ციხე-დარბაზა.“

მეორე შემთხვევაში იმავე თვისებას უფრო ფართო ჰუმანური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. „უბრალოება“, როგორც ადამიანური ხასიათი, მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესის, იდეალური თვისება დაპირისპირებულია საერთო „რთულ ცხოვრებასთან“:

„ერთი ვინმე ახალგაზრდა

აფხაზია, ამ მთის შვილი,

რთულ ცხოვრების უარმყოფი,

მცირედითაც კმაყოფილი“.

„რთული ცხოვრება“ აკაკისთვის ნიშნავს მეორადი, ჰუმანური თვალსაზრისით არამთავარი, არაპირველხარისხოვანი და ამის გამო ზედმეტი, მავნე დისჰარმონიული საწყისის გამომხატველი ვნებების სფეროს.(გ.ასათიანი, ქარ. მწერლები სკოლაში: 309).

ბათუს ხასიათი ყოველივე ამის „უარმყოფელი“, მრთელი და ჰარმონიული პიროვნების ხასიათისაა. ეს ის კრისტალია, რომელიც ამ „რთული ცხოვრებისაგან“ მიღებული უმტკივნეულესი დარტყმის შედეგადაც კი არ იბზარება.

პოემის მიხედვით, ბათუ ჰარმონიული პიროვნებაა. ბათუ უარყოფს საზოგადოების “მოღვაწეობის“ შედეგად საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ და დამკვიდრებულ ნორმებს.

ბათუ, როგორც საზოგადოებას მოშორებული ადამიანი, შეძენილი გონებრივი ცოდნის მატარებელი კი არ არის, არამედ „ცის მახლობლად“ ღვთაებრივი ცოდნის, გულისხმიერი წმინდა ცოდნის, წმინდა სიყვარულის მატარებელია და არა ვნებისა, როგორც საფარ–ბეგი.

ბათუ ჰარმონიული პიროვნებაა იმიტომ, რომ იგი „ცოდნაა თავისთვის“ – (არისტოტელე, 1964). „რთულ ცხოვრების“ უარყოფით შინაგანი ჰარმონიისა და ბედნიერების მიღწევა, უნდა ითქვას, რომ აკაკის შინაგანი ბუნების ნაწილია. იგი არა მარტო ემოციურ–სულიერ ასპექტში, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაში განცდილი ფაქტია. „მე ბევრს არას დავეძებ, რაც მაქვს ცოტას ვჯერივარ, ქვრივ ობლებს არას ვსტაცებ, ისეც ბედნიერი ვარ!“ („უდარდო კაცი“) „ერთია, როცა ხელოვანი გმობს დასაგმობს, რათა უკეთესად გარდაქმნას იგი, და მეორე, როცა მას მთლიანად უყვარს ეს სამყარო თავისი ნათელითა და ბნელით“. ქრისტეს მთავარი მცნება– „სიყვარულისათვის“ – აკაკისათვის ჰაერია, რომლითაც სუნთქავს მთელი მისი გონებრივი, სულიერი სამყარო (ი.ევგენიძე, 2003, 279).

აკაკიმ მისთვის ჩვეული სიცხადითა და სინატიფით განიხილა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს ადამიანის სულიერ ფორმირებას; როგორია აღზრდის როლი და არის თუ არა ადამიანი საკუთრივ აღზრდის პროდუქტი? ბევრი მოაზროვნე და ხელოვანი ყოფილა დაინტერესებული ამ საკითხით. არსებობს სხვადასხვა აზრი იმის შესახებ, თუ რომელ პერსონაჟზე გადის პოემის მთავარი იდეური დატვირთვა. ცნობილი მკვლევარი ლადო მინაშვილი თვლის, რომ „ამ პოემის აზრობრივი დატვირთვა **საფარ-ბეგზე** მოდის.

საფარ-ბეგმა ბათუს, თავისი ძიძიშვილის წინაშე, უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა, რომელსაც შენდობა არ უხერხდება”. იდეალი კი ბათუს სახეშია განხორციელებული, იმ დროს, როცა გამზრდელისა და აღზრდის საკითხით დაინტერესებაც ამ ნაწარმოების ძირითად საკითხად მოიაზრება. ასე რომ, შეიძლება

დაისვას კითხვა: თუ აკაკის მრწამსი, იდეა, მწერლური მიზანსწრაფვა და პათოსი განხორციელდა ბათუს მხატვრულ სახეში, მაშინ რატომაა პოემის სათაური „გამზრდელი“? გამომდინარე აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი და მწერლის მთავარი იდეის მატარებლად გამოცხადებულია ჰაჯი-უსუბი.

კრიტიკოსთა ასეთი საპირისპირო შეხედულებები გვაფიქრებინებს,რომ ჩვენც შევძლებთ გარკვეული წინადადებები ჩამოვაყალიბოთ ტექსტის ანალიზისათვის. აქ, ჩვენი აზრით, ორმა გარემოებამ ითამაშა მთავარი როლი. პირველი ისაა, რომ ნაწარმოებს ჰქვია „გამზრდელი“ და მეორე, სიცოცხლის ბოლოს, როცა მას წაუკითხეს ეს პოემა, იმ ადგილზე, სადაც წერია „მაგრამ უსუბ ეუბნება, შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ...“, პოეტს უთქვამს, ეს მართლაც კარგად დამიწერიაო. მწერლის მიერ გარკვეული ეპიზოდის ემოციურმა შეფასებამ (თუმცა ჩვენ არ ვიცით, ეს შეფასება ამ ეპიზოდის მხატვრუ–გამომსახველობით ფორმას თუ მის იდეურ მხარეს ეხება) გარკვეული განმსაზღვრელი როლი შეასრულა პოემის შეფასებისას. გვეჩვენება, რომ ის, რაც ნათქვამია ამ პოემის შესახებ, ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და მართებულია. თუმცა ვფიქრობთ, რომ ტექსტი მრავალწახნაგოვანია და გვავალდებულებს მასში განხორციელებული მწერლური შესაძლებლობების მეტი სიღრმული ანალიზით წარმოჩენას.

პოემა ოთხი თავისაგან შედგება. აქედან ყველაზე მცირე (თოთხმეტი სტროფი) მეოთხე თავია. ბუნებრივია, რაოდენობა არ განსაზღვრავს შინაარსს, მაგრამ, იქ, სადაც პოეტი თავისი მწერლური შესაძლებლობების მაქსიმუმს იყენებს და იგრძნობა ამაღლებული პათოსი, ეს უკვე რაღაცაზე მიანიშნებს. თუმცა „ანალიზი უნაყოფო რომ არ გამოდგეს, იგი, ტექსტიდან გამომდინარე, შინაგანი კითხვებით და მასზე პასუხის ძიების პროცესად უნდა იქცეს“ . მით უმეტეს, როცა კონტრასტის პრინციპი, როგორც ხელოვნების ერთ–ერთი მუდმივი კანონი აშკარადაა გამოკვეთილი პოემაში, იგი გვიბიძგებს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ მის

ყოველმხრივ და სიღრმისეულ გაანალიზებას აქვე უნდა ითქვას, რომ ეს პოემა, ისე როგორც აკაკის მრავალი ნაწარმოები მკვეთრი კონტრასტის პრინციპზეა აგებული.

კონტრასტი გულისხმობს როგორც პერსონაჟთა განლაგებას, ასევე მთელი ეპიზოდებისა და სიტუაციების გააზრებას ამ პრინციპის მიხედვით. თუ შევუდგებით პოემის ანალიზს აქ  უკვე დავინახავთ მინიშნებას, რობ ბათუ სულ სხვა სახეა. იგი არავის არ ემსგავსება. რადგან ამ გაქანების, ამ შეძლების ადამიანს პრეტენზია არა აქვს ამქვეყნიური მატერიებისა. იგი ლაღია და ამაყი. თუმცა აათავმდაბალი.ალტრუისტი და სხვისი ლხენით შეუძლია იხაროს, თუნდაც საკუთარი ოფლის და შრომის, ასევე ერთგულებისა და უანგარობის ხარჯზე.

ასეთად გვევლინება ბათუს ჰარმონიული ყოფა; ბათუს ზეცასთან სიახლოვე, სოციუმს განრიდებული ყოფაში არის გამოხატული მისი სიდიადე: ბათუს შემთხვევაში – სიმაღლე, მთის წვერი, ქოხი და უბრალობა ესის მარკერებია, რომლის ამოცნობაც არ გაუჭირდება იმას, ვისაც კარგად გაუთავისების მაცხოვრის სწავლებები.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება ბათუს მსგავსი ზნეობრივი გმირი. იგი ვაჟასეულ „კაი ყმას“ გვაგონებს, ბათუ ჩემი აზრიკთ სწორედ იმ სქემის იმ სტრუქტურის მიხედვითა არის დახატული.რომ ქართველი კაცის, ამაყი მთების შვილითა ყველა დადებით თვისებას აერთიანებს.

,,გამზრდელი“ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია ძირითადად დიდაქტიკური და მხატვრული ღირებულებების თვალსაზრისით. **საღვთისმეტყველო ანალიზს კი ნაკლებად უთმობენ ხოლმე ყურადღებას,** ან რამდენიმე მცირე ნიუანსს აღნიშნავენ. თანამედროვე ლიტერატურრათმცოდნე ლალი დათიაშვილი, პოემის საღვთისმეტყველო ანალიზით ინტერესდება, ჩვენ  აქ მოვიტანთ მკვლევარის შეხედულებას: „ნაწარმოების შესავალშივე სამოთხისეულ ატმოსფეროს ქმნის მწერალი. ფაცხა მდებარეობს მთის მწვერვალზე, ცის

მახლობლად, მღვიმის პირად, არის „ზამთარ-თბილი, ზაფხულ-გრილი“. ჰგავს მერცხლის ბუდეს, მისკენ საცალფეხო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიდის, რომელზეც გამვლელი-მხედარიცა და ცხენიც განსაკუთრებულნი უნდა ჰყავდეს. მთის მწვერვალი, ქრისტიანული მსოფლგანცდით, მაცხოვრის კვარცხლბეკია. ამიტომ ადიოდნენ წმინდანები მთაზე, იმ მიზნით შეუყვებოდნენ ციცაბო აღმაერთს, რომ უფალთან სიახლოვე ეგრძნოთ, მისი ხმა მოესმინათ. მთაზე ასვლა ამაღლებას, სულიერ აღმასვლას, ნიშნავს, მით უმეტეს,მთის მწვერვალზე დამკვიდრება, რაც უფლის თვალწინ ყოფნა, მასთან ერთიანობის განცდით ტკბობაა. ცასთან ახლოს ყოფნა ცის მახლობლად ცხოვრება სასუფევლის სიახლოვეს გულისხმობს. ფაცხა ისე მაღლაა, რომ მერცხლის ბუდესავით მოჩანს კაცთა თვალისთვის. მკითხველს რჩება განცდა, რომ ამ ფაცხიდან ხელის გაწვდენაზეა სასუფეველი. მღვიმის პირი ზეცის კარიბჭის, ანუ სამოთხის კარის სიმბოლოა. მღვიმე წმინდანთა სამოღვაწეო ადგილია, მღვიმე სამოსატრო ტერიტორიაცაა. “ზამთარ-თბილი“, და“ ზაფხულ-გრილია“ ფაცხა. ეს სამოთხისეული ატმოსფეროა. რადგან იქ „მზიანი ჩრდილები და მუდამ გაზაფხულია. ბათუს სახლის მერცხლის ბუდესთან შედარება სამოთხის მერცხლის ბუდის სიმბოლოთი წარმოდგენად გვესახება. ამ ბუდე-სამოთხეში კი ახალი ადამი და ევა-სამოთხის გვრიტები, ანუ უფლის მერცხლები სახლობენ. ისინი“ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე სასუფევლის ნეტარებას“. საცალფეხო მიხვეულ-მოხვეული ბილიკი,რომელიც ბათუს სახლამდე ადის, სამოთხისკენ მიმავალი „ვიწრო და საჭირველი! გზის მიმანიშნებელია. მასზე გავლა რთული ამოცანაა. მწერალი ამბობს:

„მასზე გამლელს უნდა ჰქონდეს

მარჯვე თვალი მტკიცე გული,

ანუ ჰყავდეს რაში-ცხენი...

უშიშარი და თან ფრთხილი“.

აკაკი ყურადღებას აქცევს ამ წუთისოფელში მცხოვრები,სამოთხისკენ მიმავალი ადამიანის თვალსა და გულს. ჩვენი აზრით, აქაც არის ქრისტიანული სწავლების ერთგვარი გამოძახილი, რომ კაცი მარადიულად ფხიზლად უნდა იყოს, რათა ეშმაკის საცდურებით არ მოიხიბლოს. მაცდუნებელი თვალი კი უნდა აღმოიკვეთოს და განაგდოს.(ქარ.მწერ.სკ. 332-337)

აქ წარმოდგენილ სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები სახვადასხვა დოზით გაიზიარა სამეცნიერო საზოგადოებამ, თუმცა ყველა მათგანს გააჩნია არსებობის უფლება. ამით არც პოემას და არც მის ავტორს არავითარი ჩრდილი არ ადგება. ეს გარემოება გვაბედვინებს, რომ ჩვენც ჩამოვაყალიბოთ გარკვეული მოკრძალებული აზრები ამ უნიკალური თხზულების შესახებ: პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერი თქმულა ბათუსა და ნაზიბროლას სპეტაკ გრძნობებზე დაფუძნებული **იდეალური ოჯახის მხატვრული ფუნქციური დანიშნულების შესახებ.** ალბათ, აკაკი წერეთელს ძალიან არ მოეწონებოდა ასეთი გულგრილი დამოკიდებულება მისი ჩანაფიქრის მიმართ. რომ წმიდათაწმიდა ფასეულობაა ოჯახი და თუ იგი სპეტაკ სიყვარულს ეფუძნება, მას ეშმკის შემოტევაც კი ვერაფერს დააკლებს. შევეხებით **ოჯახის სიმტკიცის** თემას, რაც მართალია წამყვანი საკითხი არ არის მაგრამ, ვფიქრობთ არც მეორეხარისხოვანი გახლავთ. ჩვენ წინამდებარე ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე გამოწვევების ფონზე ახლებურად უნდა მოხდეს პოემის იდეური არსის გააზრება. ჩვენი რეალობა ამტკიცებს, რომ სადღეისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ოჯახის სიმტკიცეს უნდა მიენიჭოს. სად  უნდა ვეძიოთ იდეალური ოჯახის ნიმუში, თუ არა თვით ამ ნაწარმოებში? - ნაწარმოებში, სადაც მოცემულია ცოლ-ქმრობის, ოჯახის სიმტკიცის იდეალური მაგალითი, სადაც კარგად ჩანს ის, თუ რა ღირებულებებს უნდა ემყარებოდეს ნამდვილი, სიყვარულზე დაფუძვნებული ოჯახი.

ნაზიბროლა თავის ქმარს კაცსა და ღმერთს შორის შუამავლად სახავს:

„ცაქვეყნის შუამავლად

მიაჩნია მას ათხაზი!...

გულში გულს სდებს, სულში სულს სცვლის,

ხორცს ეწმახვნისსურო ვაზი!...

ნეტავი მათ!... მათ სიყვარულს

და მათ უხმო აღსარებას!...

ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე

სასუფევლის ნეტარებას...."

ამით ბათუ ჰაგიოგრაფიის პერსონაჟებს - „ზე კაცებსა" და „ქუეყნისა ანგელოზებს" ემსგავსება, რომელნიც თავისი ღვაწლით მათზე მინდობილ ადამიანებს სასუფევლს გზას უკაფავენ, მარადიულად აქვთ გამოწვდილი ხელი, რომ ცოდვის ჭაობში ჩაძირული თანამოძმენი განსაცდელისგან დაიხსნან და შეანაწევრონ, როგორც გვარწმუნებს გიორგი ათონელი.

ნაზიბროლაც ზეციდან მოვლენილი არსებაა: „მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი", „ედემს ალვად ასული"(შდრ: „ალვა სულნელი, სამოთხით გადმოსრული, მორჩი კეთილი ედემში დანერგული" - **დემეტრე დამიანე**). იგი ბათუსთვის „ცისქვეშეთის ფარდი და წონაა, ის არის, „ვისაც გულში ცისქვეშეთი შეუწონა, შეუფარდა", ანუ ქვეყანაა, სამყაროა. ბათუ კი ზეცა და სამოთხის გზაა. ცხადია, ეს ოჯახი მართლმადიდებლური ოჯახის მართლმადიდებლური სქემის ხორცშესხმაა. ამიტომაა იგი ასე მტკიცე და ურყევი.ამიტომ სახლობს ეს ოჯახი „ცის მახლობლად" და არ ეშინია „ჭქა-ელვის"; და როცა ყცველაფერი ძრწის და კანკალებს საშინელი გრგვინვა-ქუხილის დროს, მაშინ ფაცხა მშვიდი და უშფოთველია. სწორედ აქ უნდა იკითხოს მკითხველმა რა აძლევს ამ ორ სრულიად ჩვეულებრივ ადამიანს ასეთ სიმაღლეზე ყოფნის უფლებას? რაღა თქმა უნდა, ორი

რამ: პირველი მცირედით დაიკმაყოფილონ ამქვეყნიური წადილი და უანგაროდ უყვარდეთ ერთურთი.

ასე ცხოვრობდნენ ბათუ და ნაზიბროლა - უფლის მერცხლები ღვთის სახლში, მანამ, სანამ ეშმამ არ დაჰრია ხელი, როგორც იტყვიან „ეშმაკს არ სძინავსო“ და ღვთის რჩეულებს კი განსაკუთრებით ებრძვის სატანა, თუმცა ადამიანი იმდენად მიმტევებელი, მომთმენი და გამგებიანი უნდა იყო, რომ ეშმაკმაც კი ვერ შეძლოს შენს გონებაზე ზემოქმედების მოხდენა, არამცთუ ცუდი საქციელისკენ მოგიწოდოს. მხოლოდ და მხოლოდ შენდობა და მიმტევებლობა გაგვიყვანს სწორ გზაზე.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება რომ ბათუ აფხაზია, ნაზიბროლა - ქართველი. ეს შემთხვევითი არ არის მათი კავშირი ქმნის ჰარმონიას, რომლის ყურადღების მიღმა დატოვება ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია. მკითხველმა ამ მხატვრულ პასაჟში უნდა შეიცნოს პოემის ავტორის მინიშნება, რომ ცხოვრებაში დანერგოს და გაითვალისწინოს ეპიზოდის უმთავრესი სათქმელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი რომელმაც სადიპლომო ნაშრომი ვეფხისტყაოსანზ ედაწერა  იმ სქემას იყენებს, რომელსაც რუსთაველი. არაბი ავთანდილი, ინდოელი ტარიელი და ასე შემდეგ. თუნდაც ზია-ხანუმის მიერ სატრფოზე დავალების მიცემა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს ახსენებს მკითხველს. აქედან გამომდინარე პერსონაჟთა ეთნიკურ კუთვნილებაზე ხაზგასმა - მისი ავტორის ტოლერანტობასა და ქართველთა შემწყნარებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ხომ შეეძლო ავტორს, რომ ბათუ გამოეყვანა ქართველად და არა აფხაზად? მაგრამ მან კარგად იცის თუ რაოდენ საჭიროა შენი მეგობრის ღირსების დანახვა.

ასევე უნდა მივაქციოთ იმასაც ყურადღება, რომ აკაკის ძალიან დიდ პატივს სცემდა ლეო ქიაჩელი. მან დიდ პოეტს მიუძღვნა შესანიშნავი გამოკვლევა, სადაც მიგვითითა აკაკის წერის მანერაზე და მის თავისებურებებზე. სწორედ ლეო

ქიაჩელმა გააგრძელა აფხაზთა თემა „ჰაკი აძბაში“. ასევე ამ თემის შესახებ შესანიშნავი ლექსი დაგვიწერა მურმან ლებანიძემ:

***აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“***

აფხაზეთზე
ამ კაცს თვალი უჭირავს -
ეს კაცია,
ალბათ, თურქის თემის...
და მე ვყვირი:
- ჩემს სისხლს დალევს უწინამც!
და მე ვმღერი:
- აფხაზეთი ჩემი!

როსმე „არგო“
(სხვა ხომალდი გუშინაც!)
მოაპობდა
ზვირთებს ნიჩბის ცემით...
და მე ვყვირი:
- მკვდარსა მნახვენ უწინამც!
და მე ვმღერი:
- აფხაზეთი ჩემი!

ზღვაო პონტის!
რიფვებს მალავ უჩინარს -
არაერთის
ზედ მიემსხვრა გემი...
და მე ვყვირი:
- ოხ, უწინამც! უწინამც!
და მე ვმღერი:

- აფხაზეთი ჩემი!

როგორც მრავალგზის ავღნიშნეთ პოემა „გამზრდელი“ მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა, ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად აქ, წარმოდგენილია **ოჯახის** ის მაგალითი, რომელიც სიყვარულზე, ერთგულებასა და მიმტევებლობაზეა დამყარებული. ოჯახური თანაცხოვრება მეტად რთულია და მის კეთილდღეობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს: სიყვარული ქორწინებაში ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა . ბიბლიაც სწორედ ამას მოგვიწოდებს: „შეიმოსეთ სათუთი გრძნობით - თანაგრძნობით, სიკეთით, თავმდაბლობით, რბილი ხასიათითა და სულგრძელობით... გარდა ამისა შეიმოსეთ სიყვარულით, რადგან ის გამაერთიანებელი სრულყოფილი კავშირია“. ქრისტეს მსგავსი თავგანწირული სიყვარული ის „დუღაბია“, რომელიც კრავს ოჯახს. ასეთ სიყვარულზე დაფუძნებულ ოჯახს ვერაფერს დააკლებს პიროვნული ნაკლოვანებები, ფინანსური პრობლემები, სხვა სირთულეები თუ უთანხმოებები.

**ოჯახის ბედნიერება** და სიმტკიცე დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობს ქმარი ოჯახს. ბიბლიის მიხედვითაც: „ყოველი კაცის თავი ქრისტეა, ქალის თავი კაცია, ქმრის თავი კი ღმერთია“. აქ საუბარია იმაზე, რომ ოჯახისთავებმა თავიანთ ოჯახებს ისე უნდა უხელმძღვანელონ, როგორც ქრისტე ხელმძღვანელობდს თავის მიმდევრებს. იესოს მსგავსად უნდა იყვნენ მოსიყვარულე, კეთილი, გამჭრიახი, რბილი, გულით თავმდბალი და არა უხეში და დესპოტი.

როცა სირთულეები და გაუგებრობები სიხარულს გვიკარგავს, სწორედ მაშინ უნდა გამოვავლინოთ **მოთმინება** და ვიყოთ **მიმტევებლები**. სწორედ ეს თვისებები გახლავთ **„ბედნიერი ოჯახის გასაღები“**. ქორწინება წარმატებული რომ იყოს, აუცილებელია, ერთმანეთის მიმართ მიმტევებლები ვიყოთ, თუ ცოლ-ქმარი მოთმინებას ავლენს და მთელი გულით პატიობს ერთურთს ეს კიდევ უფრო ამყარებს მათ ქორწინებას. ბათუ მიტევებისა და შენდობის ნათელი მაგალითია. მან აპატია ნაზიბროლას და ამით მის დიდსულოვნებას კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა,

მართლაც, რომ ადამიანი თუ დიდსულოვანი არაა ის ვერც პატიებას ვერ შეძლებს, წყენა კი არ უნდა დაიტოვო გულში, არამედ აპატიო და ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ოჯახს. ნამდვილი სიყვარული განაწყენებას არ ითვლის და ,როგორც ბიბლია გვაუწყებს: „სიყვარული უამრავ ცოდვას ფარავს“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ნამდვილად გვიყვარს ადამიანი მას უსასრულოდ ვპატიობთ! და სწორედ ასეც მოიქცა ბათუ. ბათუს დამმოკიდებულება ცოლის მიმართ ტრაგედიის დატრიალებამდე ასე გამოხატა ავტორმა, როცა უეცრად სტუმარი მოვიდა ბათუს კარზე, მასნ  კრძალვითა და მორიებით თხოვა ნაზიბროლას, „შეეხვეწა“: მოუმზადე ვახშამიო“

ჩვენ შემთხვევაში ეშმას მახეში პირველად საფარ ბეგი გაება, ღირსეული ვაჟკაცი, საუკეთესო „სანახავი“, „მტკიცეპირიანი“... ბათუ და საფარ-ბეგი ერთად გაიზარდნენ და აფხაზს ყველაზე უკეთ მოეხსენება, რა ღირსებების პატრონია თავისი ძუძუმტე, ერთი წამითაც არ ელის მისგან არაკაცობასა და მუხთლობას, მის ნაცვლად სიკვდილიც ლხინად მიაჩნია... აქ ადამიანის იმ თვისებაზეა გამახვილებული ყურადღება, სადაც არ ელის ადამიანი და ხდება და ეს ადამიანურ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან განძრახ არა, მაგრამ უნებლიედ ჩადიხარ ისეთ საქციელს რომელსაც იცი, რომ კარგი არაფერი მოყვება, თუმცა ადამიანი იმდენად დაუფიქრებლად და გაუაზრებლად ჩადის დანაშაულს, რომ შედეგზე არც კი ფიქრობს.ის რაც, საფარ-ბეგმა ჩაიდინა მისთვისაც მიუღებელი და სამარცხვინიოა, ამიტომ ეუბნება ძიძიშვილს თავზარდაცემული და საკუთარი საქციელით შეძრწუნებული :

„შემაცდინა თვით ეშმაკმა,

და დამრია ცოდვის ხელი“,

თუ კაცთა მოდგმის ხრიკები არა, ნორმალურ მდგომარეობაში საფარ-ბეგი არასოდეს შეურაცხყოფდა „ძმაზე უფრო ძმის“ ოჯახის ღირსებასა და პატიოსნებას.

ეშმამ ნამუსი დააკარგვინა და ის გაატეხინა, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად“, „სიკვდილამდე საკვნესად“ გაუხადა საქმე.

საფარ-ბეგის დაცემა მისმა შეცდომამ გამოიწვია. ზია-ხანუმის სახით მიჩენილმა საცდურმა მას სიყვარული და ცრუსიყვარული ერთმანეთში აარევინა „ჯადოსანმა მოხიბლა, დაამარცხა, დაიმონა. სიყვარულის სახელით ქურდობისა და მკვლელობისაკენ უბიძგა“.

როგორც უკვე ვიცით მას ქურდობაში ბათუ დაეხმარა და თან უანგაროდ გაწირა მისთვის თავი, ის წავიდა ცხენის მოსაპარად და საფარ-ბეგი კი ცოლთან მარტო დატოვა. საფარ-ბეგმა ბათუს დახმარებაც კი არ შესთავაზა და ის მარტო გაუშვა მისი დავალების შესასრულებლად. მან კი ვნებას აყვა და ძიძიშვილის ცოლი შეურაცხყო, თუმცა მოსალოდნელ შედეგზე არც კი უფიქრია.

როცა შინმობრუნებულმა ბათუმ შრცხვენილი და გაბახებული ცოლი ნახა, თავზარი დაეცა, მაგრამ ეყო სულის სიმტკიცე, ნუგეში ეცა გაუბედურებული ქალისთვის:

„ყოველგვარი მოსავალი

კაცის თავზე უნებური,

ღვთის რისხვაა და ტყუილად ბედს

რას უჩუვი, რათ ემდური?

გადააგდე გიულიდან ეგ

ცრუ ზღაპარი და სიზმარი!...

მე და შენი სიყვარული

წმინდა არის, ვით ლამპარი.“

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს, რომ ბათუ წინდაუხედავად მოიქცა, როცა მარტო დატოვა ნაზიბროლა და საფარ-ბეგი. ეს ფიქრი უსამართლო შეურაცხყოფა იქნებაბათუსი. ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი გრძნობა გამოამჟღავნა - ნდობა. ადამიანთა ურთიერთობა ნდობის თვინიერ წარმოუდგენელია. თუ ადამიანი ძუძუმტესაც არ ენდო, როგორღა იცხოვროს მან? ან საზოგადოება როგორრტა იარბებს უნდობლად? ნდობის თვინიერადამიანთა საზოგადოება ბაკში შერეკილ ჯოგს დაემსგავსება და ტუ არ იფანტება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალტა მაღალი მესრით არის შემორაგული.

ლამპარივით წმინდა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა.

ნაზიბროლა მსხვერპლი იყო და მადენად თითქოს, ბათუს შედარებით იოლად შეეძლო მისი გაგებაც და პატიებაც. ამიტომ ბათუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია. ეს სიღრმე მჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ ნამდვილი, რადგან ბათუმ საფარ-ბეგის დანაშაულიც ასევე ბოლომდე შიცნო. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და არც საფარ-ბეგი დასაჯა, რაკი დაინახა, რომდამნაშავე ალალად ნანობს დანაშაულს და ესმის მისი საქციელის არსი. საყურადღებოა ის, რომ ბათუ დანაშაულს არ ურიგდება. მას შეუძლია დააფასოს დამნაშავის მონანიება. შეუძლია შეუნდოს რაკი იგი თავად მიხვდა, რაც გააკეთა. დანაშაულთან შეურიგებლობამ გამოიწვია ის,რომ ბათუმ საფარ ბეგი გამზრდელთან გაგზავნა.(ბაქრაძე:1992: ქ.მ.ს.)

სამწუხაროდ, დამნაშავეს ძიძიშვილისადმი მიყენებული ჭრილობა და მისი ბედნიერების მოშლა კი არ სტანჯავს, გარეწარის სახელი და განკიცხული ცხოვრების მწარე პერსპექტივა აძრწუნებს. ასეთ ვითარებაში სიკვდილი, რომელსაც ის ითხოვს. შვებაა და არა სასჯელი.

სანამ საბოლოოს დაშორდებოდეს, შეურაცხყოფილი ბათუ საფარ ბეგს ასეთ დავალებას აძლევს:

წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირთ,
რაც სირცხვილი დაგემართა!

პოემის ცენტრალური პერსონაჟი - გამზრდელი ნაწარმოებში პირველად აქ არის დასახელებული. (რომლის დახასიათებაც მოცემულია პირველ თავში).

რატომ აგზავნის ბათუ საფარ-ბეგს ჰაჯი-უსუბთან? პიროვნულად ბათუმ მის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, როგორც ტრადიციის დამცველმა, მორდუობის წესით განსაზღვრული ქცევით უპასუხა - ძუძუმტე ცოცხალი დატოვა(„წადი ჩემგან შენდობილი“) , მაგრამ განა შეიძლება დაუსჯელი დარჩეს ის, ვინც „რჯულზე უფრო უმტკიცესი“ ადათი ხელყო და ამით საზოგადოების არსებობის ფუნდამენტური ნორმა დაარღვია?! „გამზრდელში“ ბათუს პიროვნული ტრაგედია თანდათან ტრადიციული საზოგადოების კრიზისში გადაიზრდება, რასაც მასშტაბური განზოგადებისაკენ მივყავართ. მომხდარზე მსჯავრის გამოტანა მხოლოდ ჰაჯი-უსუბს ძალუძს და ევალება კიდეც, როგორც საფარ-ბეგის გამზრდელს, ხალხის ბრძენ მოძღვარს და მორალურ ავტორიტეტს.

გაზრდილის უკეთურ საქციელზე ჰაჯი-უსუბის პასუხი **თვითმკვლელობაა!** ჰაჯი-უსუბისთვითმკვლელობა, როგორც ითქვა, პასუხია ბათუს თხოვნაზე, შეაფასოს გაზრდილის საქციელი, მისი დანაშაულის კერძო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ზნეობრივ კანონსა და სამართალს შორის წინააღმდეგობაა და იგი გადაწყვეტას მოითხოვს. ემპირიულ-სიუჟეტურ პლანში ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობის მიზეზი პოემაში შეუფარავად, პირდაპირაა დასახელებული:

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!

ჰაჯი-უსუბის პედაგოგიკის, „წვრთნის“ მიზანი ბიოლოგიური არსების ზნეობრივ არსებად გარდაქმნა, „კაცად გაზრდა“ იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისმა გაზრდილმა უკაცურობა ჩაიდინა.

აკაკი წერეთელი იმდენად გამოცდილია, იმდენად კარგად იცნობს ადამიანის ბუნებას, რომ მან კიდევ ერთხელ მიგვანიშნა, რომ რთულია ნებისმიერი ადამიანის შესახებ პროგნოზის  გაკეთება, მას ფსიქოლოგიურ ასპექტში გადააქვს მსჯელობა რომ შეიძლება თუ არა პროგნოზი ადამიანური ბუნებისა? არავინ არ იცის როდის რა დაგვემართება. ეს ყველაფერი კი მისი **გამოცდილებაა, მისი სიძლიერეა.**

აქვე ავტორმა მიგვანიშნა რომ იმას რაც ჩაიდინა საფარ-ბეგმა,  არასდროს არ ჩაიდენდა ბათუ, ვინაიდან ის მოწყვეტილი იყო ადამიანურ ცხოვრებას, ყოველდღიურ რუტინას, ის მთის მწვერვალზე იყო დასახლებული და მისთვის კარგი თოფი, კარგი ხმალი, კარგი ცხენი და ნაზიბროლას სიყვარული საკმარისი იყო სრული ბედნიერებისთვის რასაც საფარ-ბეგზე ვერ ვიტყვით. საფარ-ბეგი კი ამბიციური იყო და მასაც უნდოდა კარგი ცხენი, მასაც უნდოდა სიყვარული, თუმცაღა სხვის ხარჯზე რომ გამოეჩინა თავი ისე, მას არ ჰქონია მცდელობა მისი ძალებით მოეპოვებინა კარგი ცხენიც და საყვარელი ქალიც. ამრიგად, ცხოვრებას გარკვეული დილემები ახლავს და განსაკუთრებით **„რთულ ცხოვრებას“.** კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ იმას,რომ საფარისთვის იყო ეს ცხოვრება რთული, ვინაიდან მას ყავდა ამბიციური სატრფო, რომლის სურვილების შესრულებას სირთულეებთან იყო დაკავშირებული და რომლებთან გამკვლავებასაც დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა მას სხვისი დახმარებით სურდა მიეღწია საწადელი.

**ადამიანთა ბუნება** განსხავდება ერთმანეთისგან, და ეს ყველაფერი სხვადასხვა ფაქტორითაა გამოწვეული, კაცი, რომელიც მთის მწვერვალზე ცხოვრობს მას ბევრი მოთხოვნა არ გააჩნია და რაც გააჩნია თვითონვე ცდილობს ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, და კაცი, რომელიც ცხოვრობს მიწიერი

ცხოვრებით და ისწრაფვის მხოლოდ და მხოლოდ იმისკენ, რომ მიიღოს სიამოვნება არსებული ყოველდღიურობით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მათი ბუნება და აზროვნება სრულიად განსხვავებულია.

საყურადღებოა ასევე ის ფაქტორიც, რომ პოემის გმირი „ბათუ“ ეროვნებით **აფხაზია** , აქედან გამომდინარე ვივარაუდეთ, რომ აკაკი წერეთელი იმთავითვე ხედავდა იმ საფრთხეს, რომ ქართველთ მოძულე მტრებს შეეძლოთ აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირება. აკაკი თითქოს წინასწარმრეტყველური ნიჭით გრძნობდა, იმას, რომ კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის უცხო ხელით ღრმავდებოდა და სწორედ ამიტომ მან აჩვენა, რომ ქართული მწერლობა რა დიდი პატივისცემით გამოხატავს აფხაზებისადმი სიყვარულს. პოემა „გამზრდელი“ ქართველების მიერ აფხაზების სიყვარულის უნიკალური გამოვლინებაა!

ქართველი ხალხი ყოველთის იყო **ტოლერანტი** და შემწყნარებელი რისი საუკეთესო მაგალითიც ბათუსადა საფარ-ბეგის ურთირთობაა, ანუ მუსლიმი საფარ-ბეგი ქრისტიანი ბათუს ძუძუმტეა.

ის გარემოება, რომ პოემის პერსონაჟები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები არიან, ამავე დროს მიგვითითებს, რომ ავტორის მიზანდასახულობა არის აჩვენოს კავკასიური ოჯახის ერთიანობა, კავკასიური ინსტიტუტების ტრადიციული მორალური და ზნეობრივი სრულფასოვნების თვალსაზრისით. და ეს სურვილი აკაკი წერეთლისა უნდა წაკითხულ იქნეს და ხმამარლა გაჟღერებული, რომ აკაკი წერეთელი ერთ-ერთი მათგანია ვინც პირველმა გააჟღერა კავკასიური ოჯახის ერთიანობა.

აქვე შევეხებით საფარ-ბეგის აღზრდის თემას და ვიტყვით, რომ საფარ-ბეგი ალი და კვალია ჰაჯი-უსუბისა, რომ ის მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თავის აღმზრდელს, ვინაიდან მათ სწორედ, რომ ერთნაირი აზროვნება აქვთ, ორივე ფიქრობს საკუთარ თავის გადარჩენაზე, საფარი მაშინ, როცა ბათუ დაბრუნდება და

მის მშვიდ სახეზე შეხედავს გაიფიქრებს: „მადლობა ღმერთს! არაფერი შეუტყვია“-ო თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდაო, და ჰაჯი-უსუბი მაშინ,როცა საფარი უამბობს მისი მუხთლობის შესახებ ჰაჯი-უსუბი ოხვრით ჰკითხავს: „მერე? მერე? რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა? ანუ ჰაჯი-უსუბსაც უნდა საკუთარი თავის გადარჩენა და არ უნდა მის კისერზე იყოს ეს დანაშაული, ანუ ვასკვნით, რომ საფარი ნამდვილად არის არასწორი აღზრდის მსხვერპლი და რომ შეიძლებოდა მისი ბუნების თავიდანვე შეცვლა, რამეთუ ეს მოხდა ნაწარმოების დასრულებამდე, საფარ-ბეგის გარდაქმნა მოხდა და მოახდინა იგი ბათუს მიმტევებლობამ, ბათუს ქრისტიანული, მართმადიდებლური აზროვნების ქვაკუთხედია ქრისტესმიერი სწავლება: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ და რომ შურისძიება და მტრობა არ შეიძლება, რომ მხოლოდ და მხოლოდ მიმტევებლობა და შენდობაა სულიერ მოწყალებათა შორის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემო.

ამრიგად, „გამზრდელის“ მთავარი ღირსებაა თხრობის ბუნებრიობა, აკაკისეული „რთული სისადავე“, რომელიც მიუღწეველ სომაღლედ დარჩა ქართულ პოეზიაში, მაგრამ მისი გენიის გამონაშუქია აგრეთვე კრიზისული ეპოქის წიაღში შობილი საფარ-ბეგის სახე. „გამზრდელის“ პერსონაჟები მოქმედებენ ზნეობრივ ფასეულობათა ერთსა და იმავე სისტემაში, რომლის რღვევა უკვე დაწყებულია. დაინგრა კეთილშობილი ბათუს ილოზორული ბედნიერება - ცხოვრების აღმართს იგი „ძლივს, ბარბაცით“ მიუყვება... მომავლისაკენ მარტოდმარტო მიაბიჯებს ვნების ირაციონალური იმპულსებით აფორიაქებული, სინდისგატეხილი“ საფარ-ბეგი, რომლისთვისაც სულ მალე გადაიწერება ქცევის კოდექსი და შეიქმნება „ახალი ეთიკა“. (თ.დოიაშვილი: 21)

## ძირითადი დასკვნები

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი შეხედულებები „გამზრდელის“ ირგვლივ, კიდევ და კიდევ ჩამოყალიბდება ვიდრე იარსებებს სალიტერატურო კრიტიკა და საერთოდ ფილოლოგიური აზროვნება და აქვე გვინდა, რომ ჩვენი მოკრძალებული მცდელობაც პოემის ანალიზისა დასკვნების სახით ასე ჩამოგვეყალიბებინა:

- აღზრდა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ფორმირების საკითხში, რომ სწორედ აღმზრდელს ეკისრება უდიდესი მნიშვნელობა აღსაზრდელის ცხოვრების სწორი გზით წარმართვაში.
- ოჯახის სიმტკიცე განპირობებულია ოჯახში არსებულ სიყვარულსა და ერთგულებაზე, მიტევება, შენდობა და პატიებაა ის, რაზეც დამოკიდებულია ოჯახის ბედნიერება.
- ადამიანთა ბუნება იმდენად ცვალებადია, რომ პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, როდის რას გააკეთებს ადამიანი მაზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვით. ეს ყველაფერი ადამიანის ფსიქოლოგიურ

ასპექტში უნდა განიხილებოდეს, არაპროგნოზირებადია ეს ყველაფერი.

- „აფხაზი და ქართველი, როგორც ერთი მთლიანი“, ჩვენი დიდი სიყვარული და პატივისცემა აფხაზებს. აფხაზი ბათუ ქართველთ აღმოჩენაა, როგორც ზნეობრიობის იდეალი.
- კავკასიელი ხალხის ურთიერთმეგობრობა:

  აფხაზი-ბათუ

  ქართველი-ნაზიბროლა

  ყაბარდოელი-ჰაჯი-უსუბი

  ყაბარდოელი-საფარ-ბეგი

- ვასკვნით, რომ საფარი ნამდვილად არის არასწორი აღზრდის მსხვერპლი და რომ შეიძლებოდა მისი ბუნების თავიდანვე შეცვლა, რამეთუ ეს მოხდა ნაწარმოების დასრულებამდე, საფარ-ბეგის გარდაქმნა მოხდა, და იგი მოახდინა ბათუს მიმტევებლობამ.
- რომ ყველა დილემას ძალიან ადვილად გადაწყვეტს ადამიანი, თუ იგი სახრებისეული სწავლებებით იხელმძღვანელებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენიმე ახალი შტრიხი პოემის წაკითხვაში შევიტანეთ და ეს არის ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სიახლე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1) )აბაშიძე, 1990: გ.აბაშიძე ქართველი მწერლები სკოლაში თბ.

2) ასათიანი, 1988: გ.ასათიანი საუკუნის პოეტები, თბილისი.

3) ახვლედიანი, 2001: თ. ახვლედიანი, აკაკი წერეთლის მხატვრულ სახეთა სისტემა და მოდელი.თბილისი.

4)ბაქრაძე, 2004(I): ა.ბაქრაძე თხზულებანი ტომი I.

5)ბაქრაძე, 1992: ა.ბაქრაძე ილია და აკაკი, თბ.

6)ბრეგაძე, 2013: კ.ბრეგაძე ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობის კრებული „კრიტიკა“, თბილისი

7)გომართელი, 1990: ი.გომართელი ქართველი მწერლები სკლაში თბ.

8)გომართელი, 2013: ა.გომართელი ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობის კრებული „კრიტიკა“, თბილისი

9)დათაშვილი, 1990: ლ.დათაშვილი ქართველი მწერლები სკოლაში

10)ევგენიძე, 2011: ი.ევგენიძე აკაკის კრებული თბ.

11)ევგენიძე, 2003: ი.ევგენიძე ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.2.თბ.

12)ზანდუკელი, 1976: მ.ზანდუკელი თხზულებანი IIტომი, ახალი ქართული ლიტერატურა

13)თეიმურაზ დოიაშვილი: საგაზეთო ჟურნალი „სჯანი“.

14)“კავკაზსკოე სლოვო“, 1190: რუსული გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“.

15)მინაშვილი, 2003: ლ.მინაშვილი ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ.

16)მაია მენაბდე: (წყარო:http://mastsavlebeli.ge/?p=14232).

17)“ორიზონი“, 1990: სომხური გაზეთი „ორიზონი“.

18)რობაქიძე,1991: გ.რობაქიძე აკაკის ქნარი.

19)სხირტლაძე, 1992: ს.სხირტლაძე გაზეთი „სახალხო განათლება“.

20)ტაბიძე, 1990: გ.ტაბიძე ქართველი მწერლები სკოლაში.

21)ჩავლეიშვილი, 1972: ა.ჩავლეიშვილი ლიტერატურული ნარკვევები.

22)ჭილაძე, 11990: თჭილაძე ქართველი მწერლები სკოლაში.

23)ჭოლოკავა, 1968: ნ.ჭოლოკავა ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბ.